# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 24 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 259 (6359)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge   ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika   ფასი 50 თეთრი.


## ბრძოლას ქართველობისა და კულტურის წინააღმდეგ საზღვარი არ უჩანს

3



**ვლადიმერ პუტინი:**



შესაძლებლად მიმაჩნია ამ ძეგლის აღდგენა ოდესღაც ჩვენი ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქში – მოსკოვში

**მერაბ ბერძენიშვილი:**



...ძეგლის აღდგენა ტექნიკურადაც შეუძლებელია და შემოქმედებითადაც. სამწუხაროდ, არც მე მაქვს და არც არქივში მოიძებნება ქუთაისის მემორიალის პროექტი, ისეთივე მემორიალის ხელახლა შექმნის ძალა და ენერგია კი უკვე არა მაქვს – მე ხომ 80 წლისა ვარ

## პროცესები თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით, შესაბამისი ნაბიჯები გადავდგათ ეკლესიისა და ერის ღირსების დასაცავად

2

## ბაჩუკი ქარდავა: 1991 წლის დეკემბრის მოვლენები ნამდვილად არ იყო ედპ-ს დამსახურება



5

## აფეთქებული „ღიმილის ბიჭები“

4





5

## უპასუხო კითხვა – გვეშველება რამე?

## ეს აქლემი ყველას კარზე დაიჩოქებს!!!

ჟურნალისტების დაშინება სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა

2

განა შეიძლება ქალაქის ცენტრში თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც საბითუმო ბაზრობა იყოს?

9

## „ოქროს უბნის“ სატკივარი

## „პირველად კავკასიაში“– ცივი თუ ცხელი ომის საფრთხე?

4

წმიდა სინოდის მიმართვა

# პროცესები თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით, შესაბამისი ნაბიჯები გადავდგათ ეკლესიისა და ერის ღირსების დასაცავად

საქართველოს საპატრიარქოში წმიდა სინოდის სხდომა გაიმართა, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავმჯდომარეობდა. მისმა უწმინდესობამ თავდაპირველად საერთო მდგომარეობა მიმოიხილა და შემდეგ ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი ძალების ცილისმწამებლურ და შეურაცხმყოფელ განცხადებებსაც შეეხო. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გამოთქვეს წმიდა სინოდის წევრებმაც, რის საფუძველზეც გაკეთდა მიმართვა. მის ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! წმიდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: დიდება ღმერთს ყველაფრისთვის! ჩვენც ვმადლობთ უფალს იმ წყალობისთვის, რასაც იგი ავლენს ჩვენს ეკლესიასა და ქვეყანასა ზედა. ვმადლობთ უფალს, რომ წმიდა სინოდს აქვს ერთსულოვნება და ამ ერთობით წლების მანძილზე ვემსახურებით ღმერთს და სამშობლოს, ჩვენს ხალხს. ქრისტეს ეკლესიის მიზანიც მაცხოვნებელ რწმენაში საყოველთაო ერთობის მიღწევაა ღვთის სადიდებლად.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ არიან ძალები, რომელთაც არ სურთ ეკლესიის მთლიანობა და სისავსე, არ სურთ ეროვნული და ზნეობრივი ფასეულობების დაცვა. ისინი ფსევდოლიბერალიზმის, ფსევდოკულტურისა და რელიგიური ინდიფერენტიზმის დანერგვისკენ მოგვიწოდებენ და ამ მიზნის მისაღწევად ყველა სახის სიცრუესა და შეურაცხყოფას მიმართავენ, რათა ხალხს ეკლესიის სიყვარული და ნდობა დააკარგვინონ. ამით კი სურთ, ერს მთავარი საყრდენი გამოაცალონ.

ჩვენი ქვეყნის ისტორია გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს აღორძინებასა და წინსვლას წინ ყოველთვის ეკლესიის განმტკიცება უძღვოდა. ეს პროცესი ეკლესიაში დაწყებულია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს, სასულიერო პირების გამრავლებამ, სიკეთესთან ერთად, გარკვეული სირთულეებიც შექმნა, რაზეც მსჯელობა, სჯულის კანონიდან გამომდინარე, წმიდა სინოდის სხდომებზე უნდა ხდებოდეს. სამწუხაროა, რომ მიმდინარე პროცესებში მასმედიის ის საშუალებებიც იღებენ მონაწილეობას, რომელნიც ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებიან“.

ამასთან, წმიდა სინოდი აღნიშნავს, რომ „ანტიეკლესიურ კამპანიას ზიანი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსთვის მოაქვს, რადგან ეს არის საზოგადოებაში განხეთქილების შეტანის მცდელობა“. „პროცესები თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ იძულებული ვიქნებით, შესაბამისი ნაბიჯები გადავდგათ, რათა დავიცვათ ჩვენი ეკლესიისა და ერის ღირსება“ — აღნიშნავს წმიდა სინოდი.

საფრთხე

# ეს აქლემი ყველას კარზე დაიჩოქებს!!!

## ჟურნალისტების დაშინება სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა

**დამდეგ შობა-ახალ წელს ხელისუფლება თავისებურად კი გვილოცავს, მაგრამ განსაკუთრებულადაც. ჯერ მთელს რუსთაველზე ჩინური ჭაღები ჩამოკიდეს, რომლებიც ელექტროენერგიას კი ცოტას ხარჯავენ, მაგრამ ისე ბრჭყვიალებენ, რომ იფიქრეს ხალხი დაბრმავდება და ვერაფერს დაინახავსო.**

ჰოდა, ამით დაიმედებულნი 19 დეკემბერს, ნიკოლოზობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ჯერ ქუთაისში ბერძენიშვილის მემორიალს მიადგნენ და ააფეთქეს, რამაც ორი ადამიანის სიცოცხლე და სხვების ჯანმრთელობა შეიწირა. შემდეგ არც ჟურნალისტები დატოვეს უყურადღებოდ და აქაოდა მწარე გაკვეთილები დაგავიწყდათ, წარსული „შეცდომებიდან“ ვერაფერი ისწავლეთო, და იმავე ღამეს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია ძირფესვიანად მიანგრ-მოანგრიეს.

ხელისუფლებამ ისევ შვებით ამოისუნთქა, უხეშად რომ ვთქვათ, გაიჯეჯილა, რადგან იფიქრეს და სწორადაც იფიქრეს, ოპოზიციას ხალხი, მათი უფლებები მარტო არჩევნების დროს და მისი გაყალბების შემთხვევაში ახსენდება, ახლა ჩვენი „ლუსტრების“ შუქით ისე არიან დაბრმავებული, განსაკუთრებით პარლამენტში მსხდომნი, რომ ჩვენს ქმედებებზე ყურსაც არ შეიბერტყავენო. ამიტომაც მოგვაგონეს ყველას 2007 წლის ნოემბერი, როცა ტელეკომპანია „იმედი“ მიწასთან გაასწორეს და თან ღიად.

ამჯერად, ასეთ პირდაპირობას მოერიდნენ. გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ოფისი ღამით დაარბიეს, რაც უკვე მეორე შემთხვევაა. ჯერ არც პირველი გამოძიებულა და როგორც გამოცემის რედაქტორები ფიქრობენ, არც მეორეს დაადგება საშველი. რედაქციიდან გატანილია ყველაფერი — მატერიალური ბაზიდან დაწყებული, ჟურნალისტების სამუშაო ჩანაწერებით დამთავრებული, ასევე წიგნი „უუფლებობის ზონა“, რომელშიც ერთად არის მოთხრობილი მთავრობის დანაშაულებრივი ქმედებები საკუთარი ხალხის წინაშე.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ეს დარბევა თუ ძარცვა (უფრო პირველი) სპეცსამსახურებმა ჩაიდინეს (ისინი კი ვისი ხელდასხმულებიც არიან, ყველას კარგად მოეხსენებაძ, რადგან პროფესიონალების ხელი ეტყობა. როგორც ჩანს, დაუსჯელობის სინდრომმა სამთავრობო ეშელონებში ისევ დაიწყო ძალების მოკრება. ერთი ბრძოლა უკვე მოიგეს, თან დიდი ანგარიშით, ჯერ კიდევ მაშინ, როცა 9 აპრილს დაწყებულმა ოთხთვიანმა აქციებმა და ამჟამად „ლუსტრირებულ“ რუსთაველზე საკნების გამოფენამ ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო.



ახლა კი ქარიშხალმა გადაიარა და მართალია, ზამთარში მზე არ აცხუნებს, რომ ისევ მის ქვეშ გადმოინაცვლონ, მაგრამ ამ მნათობს „ღირსეულ“ კონკურენციას ჩინური ჭაღები უწევს.

ყველას კარგად ახსოვს, რამ ჩაუყარა საფუძველი ჩვენი ხელისუფლების ასე საამაყო „ვარდების რევოლუციას“. ჟურნალისტები ვერ გრძნობდნენ პროფესიულ საქმიანობაში თავისუფლებას და ასე დაიწყო ყველაფერი. ახლა იმავე ჟურნალისტებმა ტელევიზიებიდან პატარა ინფორმაციის სახითაც კი არ აღნიშნეს რედაქციაში მომხდარი.

უნდა ითქვას, რომ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ ბევრმა კოლეგამ დარეკა და თანადგომაც გამოხატა, მათ აქვე აღუნიშნავთ, რომ მეტის საშუალება უბრალოდ არ აქვთ. რედაქციისადმი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოში აკრედიტებულმა ზოგიერთმა საელჩომ, განსაკუთრებით — ბულგარეთის ელჩის მოადგილემ კირილ პრედოვმა.

**ირაკლი თოდუა, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი:** — ხელისუფლებას ამგვარი სითამამის საშუალებას აძლევს ის, რომ დასავლეთში სააკაშვილის რეჟიმისადმი მხარდაჭერა, ყველაფრის მიუხედავად, ძალიან დიდია. იგი დემოკრატიის შუქურად გამოაცხადეს კავკასიაში. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქითაა. ამიტომაა მნიშვნელოვანი დიპლომატიური კორპუსის მიერ ქვეყანაში ნამდვილად არსებული ვითარების ცოდნა, განსაკუთრებით კი — სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოხსენებული გაზეთი 8 თვის წინაც გაძარცვეს. იძულებითი შესვენების მიუხედავად, იანვრიდან „საქართველო და მსოფლიო“ ისევ გამოვა და მთავარი მიმართულება საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა იქნება.

ასე რომ, № რაოდენობის ჭაღების კონწიალის და წინასაახალწლო განწყობის მიუხედავად, ხალხი ნამდვილად არ დაბრმავებულა და ერთი ცნობილი ფილმის პერსონაჟისა არ იყოს, „ყველაფერს მიასწორ-მოასწორებს, რაც უმართებულოდ ამაღლებულა“. ჟურნალისტებმა კი თუ თანაგრძნობა და მხარდაჭერა არ გამოვხატეთ ერთმანეთის მიმართ, როგორც ჟურნალისტმა ბონდო მძინარაშვილმა აღნიშნა, ეს აქლემი ყველას კარზე დაიჩოქებს.

**ანა წიწილაშვილი**
**მურად ალაშვილის ფოტო.**

სამართალი

# ინა გუდავაძე — ჯოზეფ ქეის წინააღმდეგ

## გიბრალტარის სასამართლოს გახმაურებული საქმის დეტალები

**ვინ არის სინამდვილეში ჯოზეფ ქეი? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სცადეს „თბილისი მარიოტში“ ბადრი პატარკაციშვილის ქვრივის ინა გუდავაძის ადვოკატებმა.**

17 დეკემბერს გიბრალტარის უმაღლესმა სასამართლომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და ჯოზეფ ქეის შორის მიმდინარე სამართლებრივი დავის შესახებ წერილობითი გადაწყვეტილება გამოიტანა. დავა შეეხებოდა გიბრალტარის ორი ტრასტის მფლობელობას, რომელშიც მრავალი ფასეული აქტივი შედის. ჯოზეფ ქეი პრეტენზიას გამოთქვამდა ამ ტრასტების 100 პროცენტის მფლობელობაზე, პატარკაციშვილის ოჯახი კი ამტკიცებდა, რომ ორივე ტრასტი ბადრის ეკუთვნოდა.

სასამართლომ ჯოზეფ ქეის მოთხოვნა არ გაიზიარა და აქტივების მინიმუმ 86 პროცენტი ბადრის ოჯახს მიაკუთვნა.

გასულ კვირამდე გიბრალტარში მიმდინარე სასამართლო საქმე კონფიდენციალური იყო და პრესას მისი გაშუქების საშუალება არ ჰქონდა. თუმცა 18 დეკემბერს ჯოზეფ ქეის წარმომადგენლებმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ითქვა, რომ ქეიმ გიბრალტარის სასამართლოში ორივე ტრასტთან დაკავშირებით გამარჯვება მოიპოვა.

როგორც ინა გუდავაძის ადვოკატები აცხადებენ, აღნიშნული პრესკონფერენციით შეეცადნენ გიბრალტარის სასამართლოზე განცდილი მარცხის წარმატებად წარმოჩენას, ხოლო მეორე მხრივ, ეს იყო იმ არასახარბიელო ვითარების დაფარვის ცდა, რომელიც უცხოეთის სხვადასხვა სასამართლოებში ჯოზეფ ქეის ირგვლივ შეიქმნა (იგულისხმება ლიხტენშტეინის, ნიუ-იორკისა და ლონდონის სასამართლოებიძ.

სწორედ ამიტომ მიიჩნიეს საჭიროდ გუდავაძის ადვოკატებმა სასამართლო პროცესთან დაკავშირებით კომენტარები გაეკეთებინათ. ისინი აცხადებენ, რომ პირიქით, მოსამართლემ უგულებელყო ქეის პრეტენზიები ამ ტრასტების მფლობელობასთან დაკავშირებით და გადაწყვიტა, რომ ის იტყუება. გადაწყვეტილებაში მოსამართლემ განაცხადა, რომ ქეის მოწმეებთან შედარებით უპირატესობას პატარკაციშვილის ოჯახის მხრიდან წარმოდგენილ მოწმეებს ანიჭებს. რაც შეეხება ჯოზეფ ქეის, მას შემდეგ,



რაც მოსამართლემ მისი ჩვენება მოისმინა, ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა: **„ჩემი ერთადერთი დასკვნა არის ის, რომ ქეის ჩვენება სიმართლეს არ შეესაბამება“** და რომ **„ქეის აშკარა მიდრეკილება აქვს ტყუილისკენ“...**

მოსამართლის აზრით, ტრასტებში აქტივების დაფინანსების ქეისმიერი წილი, მხოლოდ იმ შემთხვევაში და ძალიან მცირე დოზით შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ მას, მისივე სიტყვებით, მიღებული აქვს საკომისიო რუსეთის ნავთობისა და გაზის უდიდეს კომპანია „სიბნეფტში“, ბადრის წილის გაყიდვის დროს. ამის მიუხედავად, მოსამართლე ფიქრობს, რომ ეს ფულიც კი ქეიმ ბადრისგან არამართებული გზით აიღო. აღნიშნული საკითხი მოგვიანებით უნდა იყოს გადახედილი და თუ ეს ქეიმ წააგო, მაშინ მას არანაირი უფლება არ ექნება ტრასტებში და თუ სიმართლის დამტკიცებას შეძლებს, ძალიან მცირე წილის მფლობელი გახდება.

საგულისხმოა ისიც, რომ პატარკაციშვილის ოჯახის თხოვნით მოსამართლემ ქეის კუთვნილ ყველა აქტივზე მსოფლიო შეზღუდვის ორდერი გასცა და მისი ყოველკვირეული საარსებო ხარჯები 1000 ფუნტ სტერლინგამდე შეზღუდა.

გიბრალტარში მიმდინარე სასამართლო საქმის პარალელურად სასამართლო პროცესი ინგლისის უმაღლეს სასამართლოშიც მიმდინარეობს, რომელშიც პატარკაციშვილის ოჯახი ბადრის ქონების გამკარგველად ქეის პრეტენზიებს ასაჩივრებს. 4 დეკემბერს სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმადაც **„ქეი აღიარებულია არასათანადო პოზიციის მქონე განმკარგველად და არკადი პატარკაციშვილის ქონების შეუფერებელ ადმინისტრატორად ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე და არ იმსახურებს ყურადღებას“.**

პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში ჯოზეფ ქეიმ სხვადასხვა საშუალებით დაიწყო მცდელობა იმისთვის, რათა ქართული საზოგადოების წინაშე წამდგარიყო როგორც ბადრის ანდერძის აღმსრულებელი, მისი სამკვიდროს მმართველი. მოგვიანებით მან პრეტენზიები განაცხადა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განთავსებულ ბადრის კუთვნილ აქტივებზე. გიბრალტარის მოსამართლე კი ამბობს, რომ **ჯოზეფ ქეი ბადრის კეთილგანწყობით სარგებლობდა, ახორციელებდა ბადრის კუთვნილი სახსრების ინვესტირებას, რომელსაც შემდეგ უკვე საკუთარ ინვესტიციებად ასაღებდა. სასამართლომ ბადრისა და ჯოზეფის ურთიერთობა შეაფასა, როგორც დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა. მეტიც, მოსამართლის აზრით, უფრო მართებული იქნებოდა გვეხმარა შედარებით მოძველებული ტერმინი — „პატრონი და ყმა“.**

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ალბათ, არც ისაა გასაკვირი, რომ ქეიმ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მოსამართლეს სთხოვა, მთელი ეს საქმე კონფიდენციალურად დაეტოვებინა და საზოგადოებას სასამართლოს გადაწყვეტილების გაცნობის საშუალება არ მისცემოდა. პატარკაციშვილის ოჯახმა კი პირიქით, მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილება საჯარო ყოფილიყო, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

ახლა ამ საქმის მასალები ღიაა. აი, ერთ-ერთი ამონარიდი გიბრალტარის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან: **„იმის მიუხედავად, რომ მეტად საეჭვოა ის დამთხვევა, თითქოს არკადი პატარკაციშვილს ძალიან იზიდავდა „ბუდა-ბარის“ ბრენდი და ქეისათვის ეიმის მიერ გაკეთებული რეკომენდაცია, რომ მასში ფული დაებანდებინათ, ზოგადად, მე უფრო ინა გუდავაძის ჩვენებას ვიზიარებ და კიდევ უფრო მეტად ვენდობი ლის ია პატარკაციშვილის ჩვენებას ქეის საწინააღმდეგოდ. ამის მიზეზი გარკვეულწილად ისაა, რაც ქვემოთ დასტურდება — ქეი ტყუილს ხშირად ამბობს!“**

მოკლედ, ასეთია გიბრალტარის საქმის დეტალები და მოსამართლის გადაწყვეტილება... საინტერესოა, რას იტყვიან ამის საპასუხოდ ქეის წარმომადგენლები. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ტრასტების 14 პროცენტის ფლობაც საკმაოდ სოლიდური შენაძენია, ვინაიდან მილიონების მფლობელი ქეი, რამდენიმე მილიარდის მესაკუთრე გახდება...

**თეა მოსია**

◉ სიტყვა ერის გასაგონად

# ბრძოლას ქართველობისა და კულტურის წინააღმდეგ საზღვარი არ უჩანს

**ჯერ კიდევ 2004 წლის სექტემბერში, განათლების ფსევდორეფორმის გარიჟრაჟზე, შალვა რამიშვილის გადაცემაში, ტელესტუდიაში „202“, მივმართე ლომაიას წარმომადგენლად მოსულ გიგი თევზაძეს მერეჟკოვსკის ცნობილი ფრაზით, რომელიც ახალდამკვიდრებული საბჭოეთის „მოღვაწეებს“ ეხებოდა: „მოვა დრო და თქვენი სისხლიანი ხელებით შეუდგებით მარმარილოს მშვენიერი ქანდაკებების ნგრევას“.**

ეს დროც დადგა.

მერაბ ბერძენიშვილის მემორიალის აფეთქება არის თავგასული ხელისუფალის არა უბრალოდ აზრს მოკლებული ერთეული აქვიატება, არამედ ერთი რგოლი ჩამოყალიბებული სტაბილური გეგმისა – საქართველოში ქართული ფასეულობებისა და, საერთოდ, სულიერი კულტურის განადგურებისა.

ეს მიზანი, რომელიც გამოჩნდა უკვე განათლების რეფორმის პროექტშივე და ლომაია-თევზაძისა და მათი გუნდის განცხადებებში, გაგრძელდა დღესდღეობით ბაგრატის ტაძრის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, განადგურებითა და მერაბ ბერძენიშვილის „მხედრული დიდების“, ანუ ფაშიზმზე გამარჯვების მეში ცხენზე ამხედრებული გამარჯვებული მზეჭაბუკის ქანდაკებით.

მხედარს ხმალი მოახერხეს და სპორტის სასახლესთან გადატანა მიუსაჯეს, ამით წაართვეს ხელოვნების ქმნილებას საზრისი, შეუცვალეს შინაარსი, მოკლეს ქანდაკების სული... ჩაიდინეს მკრეხელობა ხელოვნებისა და ე. ი. კულტურის წინაშე – ბოროტებასთან მებრძოლი გმირი გარდაქმნეს ჯანმრთელ სპორტსმენად, სულიერი სწრაფვის გამარჯვება – „ცხოვრების ჯანმრთელი წესის“ მონაპოვრად.

დაბოლოს, აფეთქებენ თვით მემორიალს. ისევ ქართული და სულიერი, მართლმადიდებლური ღირებულებები – ქართვლის დედა, წმინდა გიორგი, თანაც, როგორც სჩვევიათ, ამოხვევენ ნგრევას და სპობას დიდ საეკლესიო დღესასწაულს, ამჯერად კეთილისმქმნელი წმინდანის, ნიკოლოზის, დღეს. ეს უკვე არის მკრეხელობა ღვთის წინაშე, არაფრად ჩაგდება რწმენისა და ეკლესიისა და ამ გზით ეკლესიასთან და თვით რწმენასთან შებრძოლება, ოღონდ ფარულად, პირმოთნე ფარისევლური, თვითონ მათი ეკლესიაში სიარულისა და ტელეკამერების წინ სანთლების დანთების ფონზე (ამათთან შედარებით, უკეთ გამოიყურებიან წითელი ხატმებრძოლი ავაზაკებიც კი, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ მებრძოლ ათეიზმს, არ ესწრებოდნენ წირვებს, არ ასრულებდნენ ყველას დასანახად საეკლესიო რიტუალებს).

ეს არის ფაქტები, რომლებიც სხვა მსგავს ფაქტებთან ერთად მწყობრ, ჩაფიქრებულ სისტემად ლაგდებიან და პატარ-პატარა უკან დახევით, ხან უფრო მოზრდილი ნახტომებით მიიწევენ დასახული მიზნისაკენ – ნიადაგის მოსინჯვით – გაგვივა? თუ გაგვივა (და გასდით კიდეც!) მოვუმატოთ და მივიდეთ ბოლომდე. ეს „ბოლო“ კი ქართველობისა და ქართული საქართველოს დასასრულია. რატომ?! რისთვის?! რა აიძულებს ქართველ, ასე ვთქვათ, „მამულიშვილს“ და „მამულიშვილებს“ საკუთარი ერისა და საკუთარი სამშობლოს სპობას? ზიზღი? სიძულვილი? ნაწილობრივ ასეა, მაგრამ ძირითადად ეს არის „დანაშაულებრივი კაპიტალი“ (ეს ილიას სიტყვებია), ფული, რომელზედაც იყიდებიან ეს „თავმომწონე“ ბატონები და ქალბატონები, როცა ეყრდნობიან არც ოფიციალური რუსეთის, არც ოფიციალური ამერიკის, არც, მით უმეტეს, ევროპის, არამედ სოროსისა და მსგავსთა მისთა დამქირავებელი გლობალური ძალის მიერ გამოწვდილ „დახმარების ხელს“ (ეს სოროსის გამოთქმაა), რომელსაც სოროსისავე სიტყვით, „მხოლოდ ფულადი სახე შეიძლება ჰქონდეს“.



მორიალის აფეთქებით.

პროცესი დაიწყო **სიტყვის** დონეზე, შეპარვით, ქართულ ცნობიერებაზე დამთრგუნველი ზემოქმედებით – ქართული ღირებულებების, ავტორიტეტების, ტრადიციების დაკნინებით ან იგნორირებით (მაგ., თამარ მეფისა – ლაშა ბუღაძის მოთხრობაში „პირველი რუსი“, თამადობის ინსტიტუტისა – ჯგერენაიას საგანგებო წიგნში; ქართლის დედის ქანდაკების პაროდირება ფროიდისტული ინტერპრეტაციით – თბილისის მაშინდელი მერის ჭიაბერაშვილის მიერ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის მორწმუნეობის გულწრფელობაში ეჭვის შეტანით სამთავრობო არხის თოქ-შოუში და ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის უმაღლეს ადმინისტრაციაში დაბუდებული პროფესურის ავტორობით „სოროსის საზოგადოების“ მიერ გამოცემულ კრებულში, რომელიც ცდილობს დაუმტკიცოს მკითხველს ქართული საზოგადოების გონებრივი ჩამორჩენილობა იმით, რომ მის ცნობიერებას ჯერ ისევ შემორჩა ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა: რწმენა, ოჯახი, ტრადიცია, სამშობლოს სიყვარული, დედისა და მამის უპირობო სიყვარული...).

სიტყვას მოჰყვა ქმედებები – თითქოსდა უმნიშვნელო, არაარსებითი, მაგრამ იმავე მიმართულებით ზემოქმედი; მაგ., დადგეს პრომეთეს ქანდაკება (თან, ესთეტიკურად უვარგისი) და არა – ამირანის; ბათუმის ცენტრიდან გაიტანეს ილიას ქანდაკება და ამ დროს იქვე, ცენტრში, დგას უკვე მედეას ქანდაკება, ილიას ძეგლის ადგილას კი, როგორც ამბობენ, განზრახულია შადრევნის გაკეთება ნეპტუნის ქანდაკებით; ბათუმში ბულვარის ცენტრიდან გაიტანეს ქართველი მოღვაწის მემედ აბაშიძის ძეგლი და მის ადგილას დელფინის მოყვანილობის პატარა კაფე დადგეს და სხვ.

გათამამებულები ანგრევენ ბაგრატს. ძირისძირამდე ამოძირკვეს ცისკენ მიმართული ოთხი სვეტი, რომლებმაც გაუძლეს საუკუნეებს, გაუძლეს რუსი გენერლის ზარბაზანს. და იცით, რა მოტივით, უფრო ზუსტად კი – რა საბაბით? პოტენციურ მიწისძვრას ვერ გაუძლებსო. არადა, მიწაში სამ მეტრ სიღრმეზე ჩასული, გარშემო ქვის რამდენიმე წრიული ფენით გამაგრებული, დღემდე ამოუხსნელი შემადგენლობის ხსნარით მკვიდრად შედუღაბებული ბალავარით შემდგარი ეს ოთხი სვეტი არ დანებდა XXI საუკუნის ნგრევით ტექნიკას და არ დაწვა მანამდე, სანამ გამეტებული ბრძოლის შედეგად ნამსხვრევებად არ აქციეს.

შედეგად კი შეიქმნა საფრთხე – შესაძლებელია, იუნესკომ ბაგრატის ტაძარი ამოიღოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან.

შემდეგ მიადგნენ ბერძენიშვილის მემორიალს ქართვლის დედის ცენტრალური ჰორელიეფით, თავში წმინდა გიორგისა და დაღუპულთა სულების ფიგურებითა და მემორიალის წინ ცეცხლოვანი ხმლით ხელ-

შეკვეთილი იდეოლოგიის საფუძველი კი (ზოგი შემსრულებლისთვის ცნობილი და ზოგისთვის – არა) არის ე. წ. „კონტრკულტურის“ გლობალური პოზიცია, რომელსაც მიჰყავს კაცობრიობა ე. წ. „ახალი მსოფლიო წესრიგისაკენ“ მრავალეროვნულობის, მრავალსახელმწიფოობის, მრავალკულტურიანობის გარეშე, ერთი მმართველობით, ერთი კულტურით (?), ერთი ჯიშით, სადაც ჩვენი (ქართული) კულტურისა და ჩვენი, როგორც კაცობრიობის მათთვის არასასურველი ნაწილის, ჭაჭანებაც არ იქნება.

ამიტომ გამოვფხიზლდეთ, ქართველებო! ნურავინ იფიქრებს (გაყიდულთა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ „სოროსულ“ იდეოლოგიას აყოლილთა ჩათვლით) – მე გადავრჩები და სხვებს კისერიც უტეხიათო. ცხოვრება და კაცობრიობის განვითარების ისტორია გვაჩვენებს, რომ ასე არ ხდება, მაგრამ არც ის ხდება, რომ გაფუჭებული საქმე თავისთავად გვარდებოდეს, თითოეული ადამიანის ძალისხმევისა და ბევრთა და ბევრთა თავდადების გარეშე.

ამიტომ გავიღვიძოთ, შევეცადოთ დავძლიოთ შიში. ხომ ვიცით, კბენენ იმას, ვისაც ეშინია და ჩავერთოთ ერისა და ქვეყნის, ანუ რაც იგივეა, ჩვენი თავის, ჩვენი შვილების, ჩვენი საყვარელი ადამიანების გადარჩენის საერთო საზრუნავში – ვისაც როგორ შეუძლია!!!

**მაია ნათაძე,**
„ქართული აკადემიის“ სახელით

◉ ინიციატივა

# რისთვის არის საჭირო ახალი პლატფორმა?!

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ოფისში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ადამიანის უფლებათა ცენტრმა და კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი გამართა.**

ფორუმის მიზანი იყო რეგიონებში მშვიდობის დამყარების პლატფორმის შექმნის იდეა. სიტყვით გამოვიდნენ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილი და ადამიანის უფლებათა ცენტრის თავმჯდომარე უჩა ნანუაშვილი, სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, შავი ზღვის რეგიონის მშვიდობის მშენებლობის პლატფორმით დაინტერესებული სტუდენტები.

პლატფორმა რეგიონში ბოლო ოცი წლის მანძილზე არსებული გამოწვევების დასაძლევად და შავი ზღვის რეგიონში კონფლიქტების მოსაგვარებლად იმუშავებს. შავი ზღვის ქვეყნებიდან პლატფორმის ინიციატივაში გაწევრიანებული არიან: მოსკოვი, უკრაინა, თურქეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო. სწორედ ამ ქვეყნების იდეებს აერთიანებს პლატფორმა.

**გიორგი ხუციშვილი:** „მრგვალი მაგიდა“ შავი ზღვისპირა ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის გაძლიერებას, რათა შავი ზღვის რეგიონი დემილიტარიზებული, მშვიდი და სტაბილური იყოს.

ეს პლატფორმა ბუქარესტში ჩამოყალიბდა, ხოლო ჩამოყალიბების ინიციატივა რუმინეთში არსებულ მშვიდობის საერთაშორისო უნივერსიტეტს ეკუთვნის. საერთო ძალისხმევით ვცდილობთ კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. ამისთვის პროექტში ჩართული არიან ჩვენი ცხინვალელი და აფხაზი კოლეგები“.

შავი ზღვის რეგიონის მშვიდობის მშენებლობის პლატფორმა ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მშვიდობის დამყარების გაუმჯობესებას.

**ხატია მუსერიძე**

◉ ინფორმაცია

# „ატამანს ნუ ეურჩები, ეგორ!..“

**რუსეთის პრემიერს იმპერიული ძლიერების დაბრუნება სურს. – ასეთი შეფასება მოყვა თბილისში ვლადიმერ პუტინის ინიციატივას, მერაბ ბერძენიშვილის დიდების მემორიალის მოსკოვში აღდგენასთან დაკავშირებით. ქართველი პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ რუსეთი საბჭოთა დიდების დაბრუნებას ცდილობს.**

**დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის აზრით, მოსკოვი ამ იდეის განსახორციელებლად საბჭოთა გადმონაშთებს აგროვებს.**

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა განცხადება ქუთაისში დიდების მემორიალის დემონტაჟთან დაკავშირებით გააკეთა და რუსეთში ქართულ დიასპორას სთხოვა, რომ ძეგლის მოსკოვში აღდგენა და განთავსება დააფინანსონ.**



**– ჩვენ გვახსოვს ვლადიმერ პუტინის ყველაზე უფრო ცნობილი განცხადება, როდესაც მან თქვა, რომ XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო საბჭოთა კავშირის დანგრევა. ამის ფონზე თუკი ვიმსჯელებთ ამ ახალი განცხადების შესახებ, გასაგები ხდება რომ მათ ის კი არ სურთ, პატივი მიაგონ ქართველ ვეტერანებს, არამედ ისინი ზრუნავენ იმ იდეოლოგიური ღერძის აღდგენაზე, რომლის ძალითაც მოქმედებდა საბჭოთა კავშირი, – აცხადებს ნუგზარ წიკლაური.**

# ჯონდი ბაღათურია სოციალურად დაუცველებს „ღმერთად მოევლინა“



**ჯონდი ბაღათურია საზოგადოებას ანგარიშს აბარებს და აცხადებს, რომ იმ სოციალური შეღავათების ძალიან დიდი ნაწილი, რაც უკვე განხორციელებულია, მისი მოთხოვნით არის მიღებული. ამის შესახებ განცხადება ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.**

**მისი თქმით, სწორედ მისი მოთხოვნით შემცირდა საჯარიმო შეღავათები 15 ლარის ნაცვლად 3 ლარამდე და გაუმჯობესდა ავტოტრანსპორტის მფლობელთა მდგომარეობა პარკირებისას დაწესებული შეღავათებით.**

**ბაღათურიას განცხადებით, იგი მოითხოვდა წყლისა და დასუფთავების დავალიანების ჩამოჭრას, რაც მთავრობამ დააკმაყოფილა.**

**ამასთან, ბაღათურია კვლავ მოითხოვს პენსიების გაზრდასა და საპენსიო ასაკის ზღვარის დაწევას ქალებისთვის 55 წლამდე, ხოლო მამაკაცებისთვის – 60 წლამდე.**

ჯი-ეიჩ-ენი

ახალი არხი

*ყველაზე მარტივ და მშრალ ინფორმაციაშიც შეიძლება „მახვილის დასმა“, ანუ იყოს შეფარული იდეოლოგია. ეს ბანალური ჟურნალისტური ანბანია, ამიტომ, თუ რას მოემსახურება ახალი ტელევიზია „პირველად კავკასიაში“, ამთავითვე იწვევს საზოგადობის ინტერესს. თითქოს ის კავკასიელ ხალხთა თანამეგობრობასა და კიდევ უფრო მყარ ურთიერთკავშირს უნდა მოემსახუროს, თუმცა ამგვარი კავშირის დამყარების მწარე გამოცდილება ერთხელ უკვე გვქონდა ტელეკომპანია „ალანიას“ სახით, რომელმაც ომის პროვოცირებაში საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა.*

# „პირველად კავკასიაში“ — ცივი თუ ცხელი ომის საფრთხე?

პირველი იანვრიდან „პირველად კავკასიაში“ ინტერნეტმაუწყებლობას დაიწყებს, ხოლო თებერვლიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის სათადარიგო ე. წ. მე-3 არხზე გავა, რომელიც სატელიტური თეფშების საშუალებით მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს მოიცავს.

ამიტომაც ბოლო დროს სულ უფრო მწვავე შეფასებები და ვარაუდი გაისმის ახალი რუსულენოვანი ტელემაუწყებლობის ირგვლივ, სადაც ჩეჩნეთის ექს-პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის მეუღლე ალა დუდაევაც ითანამშრომლებს.

ამის შესახებ გაიმართა დისკუსია სახალხო დამცველის აპარატის ოფისში ახალდაფუძნებული „საზოგადოებრივი ექსპერტიზის დარბაზის“ თაოსნობით.



თემის განხილვა შესაძლოა მნიშვნელოვანი არ ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება: საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ლევან გახელაძის განცხადებით, მომავალი ტელეარხი I არხის ბაზაზე იქმნება, შესაბამისად იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებები და დაფინანსებაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა. ალბათ, ამიტომაც მოვიდნენ ამ საკითხის განსახილველად პოლიტიკური პარტიების, მედიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საზოგადოებრივი საბჭოს ხელმძღვანელობასთან საპაექროდ.

**მთავარი კითხვა შეეხებოდა ტელევიზიის დაფინანსების საკითხს. გაცხადდა, რომ ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შემცირების და ოპტიმიზაციის ხარჯზე, რასაც უკმაყოფილება მოჰყვა, ვინაიდან ამის არავის სჯერა. დისკუსიისას რამდენჯერმე გახმიანდა აზრი, რომ ამ პროექტს ამერიკული სპეცსამსახურები ქმნიან, თუმცა ვერავინ ადასტურებს.**

და მეორე, არანაკლებ მთავარი კითხვა — რატომ, რისთვის იქმნება ეს რუსულენოვანი არხი? კავკასიისთვის ობიექტური ინფორმაციის მისაწოდებლად? მაგრამ რამდენად მიიღებს მთელი ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა ამ გადაცემებს, როცა იქ ოჯახების უდიდეს ნაწილს სატელიტური თეფშების დაყენების შესაძლებლობა არც კი აქვს?

ლევან გახელაძემ დიდხანს უარა მთავარ სათქმელს — რას მისცემს ეს ტელევიზია კავკასიას, ხომ არ გაამწვავებს ის რუსეთთან ისედაც დაძიმებულ ურთიერთობას, თუმცა ბოლოს მაინც აღნიშნა რომ ცივ ომს გამოიწვევს თუ ცხელ ომს, ამაზე პასუხი არა აქვს.

იქ შეკრებილი საზოგადოების უმრავლესობის აზრით, ეს კარგ საქმეს არ მოემსახურება. ასე მიიჩნევენ მანანა ნაჭყებია, სოსო ცისკარიშვილი, ლევან ღვინჯილია, პეტრე მამრაძე, გია ვოლსკი და სხვები.

საკითხი თუ ისე დადგა, რომ ეს არხი შეიქმნას კავკასიის გაერთიანების მოტივით რუსეთის დასასჯელად, ის ბუმერანგივით მოუბრუნდება საქართველოს. ჩვენი ფიზიკური, ეკონომიკური და სამომავლო გადარჩენის პერსპექტივა რუსეთზე დგას, ვინაიდან იქ არის წასული ყოველი მეოთხე ქართველი, — აღნიშნა მამრაძემ. ჟურნალისტი ირინა ინაშვილი მიიჩნევს, რომ როცა საქართველოში ყველა არხს მარეგულირებელ კომისიასთან ერთად მერაბიშვილი აკონტროლებს „პირველად კავკასიაში“ აგიტაცია-პროპაგანდას მოემსახურება და უბედურების წყაროდ მოგვევლინება.

ლევან ღვინჯილიას თქმით „პირველად კავკასიაში“ უნდა იყოს „ნატვრისთვალი“, მაგრამ რაც ნატვრისთვალია რუსეთისთვის, ის არ არის მისაღები კავკასიისთვის და პირიქით. ამიტომაც როგორც კი ჟურნალისტი მოვლენის ანალიზსა და იმ ინფორმაციის აფიშირებას შეეხება, რომელსაც რუსეთი მალავს, ეს სიკეთეს ნამდვილად არ მოუტანს საქართველოს.

და საერთოდ, რამდენად ობიექტური იქნება ეს არხი, როდესაც პროფესიონალი კავკასიოლოგები თითქმის არა გვყავს?

კონსტრუქციული და დეტალური პასუხები ამ კითხვებზე ლევან გახელაძეს ჯერჯერობით არა აქვს. დისკუსიის დროს ისიც კი ითქვა, რომ I არხის ხელმძღვანელობა მხოლოდ შემსრულებელია, ხოლო ამ იდეის უკან ბევრად მნიშვნელოვანი ჩინოვნიკები დგანან.

**ასე თუ ისე, სულ რამდენიმე დღეში ეს არხი მაუწყებლობას ინტერნეტის საშუალებით დაიწყებს, ამჯერად „ალანიას“ ადამიანურ რესურსებს გამოიყენებს, თუმცა ბევრი კავკასიელი და რუსი ჟურნალისტი უკვე მზადაა ამ არხთან სათანამშრომლოდ, როგორც ითქვა, ენთუზიაზმზე(!). ვნახოთ, რა იქნება, საზოგადოების შეკითხვათა ნუსხა ან გაიზრდება, ან შემცირდება.**

**თეა მოსია**

„მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“

**„ჰოი, ოსტატო, რა გვიანშანე,**
**რად ჩაგვაფიქრე მტერიც, მოყვარეც;**
**ცოცხლებს რა უშავთ... მამა-პაპანი**
**საფლავებიდან რად წამოყარე!“**

**ამ დღეებში შოთა ნიშნიანიძის ლექსი ამეკვიატა: „სერობის ღამე მერაბ ბერძენიშვილის ძეგლთან „კიდევაც დაიზრდებიან“... გამახსენდა და დიდი პოეტივით მეც „სიამაყის ცრემლი“ მომეწურა, როგორ აუყივლებია მგელბიჭუნებში ქართული სული უფალთან წილნაყარ ხელოვანს-მეთქი...**

ნამდვილი შემოქმედება სწორედაც რომ უფლისმიერია: „მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“... პრეზიდენტები წავლენ და წამოვლენ, შემოქმედება კი დარჩება... მთავარია, ვის სახელს მოიხსენიებს „წყევლით“ შთამომავლობა...

შვილის სისხლი სწორედაც რომ უფლის ნიშანი იყო... ნაავკაცარი არავის შერჩენია.

დეპუტატი ქალბატონი ოჩიაური ისე ლაპარაკობს ამ მსხვერპლზე, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, წმინდა სამების ტაძრის მშენებლობისას ორი ადამიანი გარდაიცვალაო, ჩემი მეგობარი არქიტექტორი ობიექტზე მუშაობის დროს მოკვდაო... რა მოხდაო, ვინ აღარ მომკვდარაო! დეპუტატი ხელისუფლების ნაავკაცარსა და უბედურ შემთხვევას ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს. სინანულის განცდაც კი არა აქვს. კოლეგა ნაციონალების მსგავსად გაიძახის, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ნამდვილი დამნაშავე (და არა შემსრულებელი) კი ვინც არის, ყველამ იცის...

ანდა, რომელ სინანულზეა ლაპარაკი, როცა ერთი ხელის აღებით სულიერად და მორალურად ანადგურებენ ხელოვანს... ამის შემდეგ რა გვებათუმება და გვეკარნავალება. როგორ დავიჯერო მავანის საოპერო ხელოვნების ტრფიალი, როცა „კიდევაც დაიზრდებიანის“, „ჯარისკაცის მამის“, „გიორგი სააკაძის“, „დავით გურამიშვილის“, „მეფე დავით აღმაშენებლის“... ავტორს ასე ულირსად ექცევიან? როგორ დავიჯერო კაბინეტებში ილიას სურათით კეკლუცობა, როცა ილია სინამდვილეში მეხუთე თუ მეათეხარისხოვნად მიაჩნიათ...

# აფეთქებული „ღიმილის ბიჭები“

## ჩვენი პაპების ხსოვნა ქალაქის განვითარებას აფერხებდაო...

მკითხველი მოხვდება, რის თქმასაც ვაპირებ... მერაბ ბერძენიშვილის თავზე ავი ღრუბლები დიდი ხანია იგრაგნება. ერთხელ უკვე სცადეს მისთვის ღირსების შელახვა, როდესაც დავით აღმაშენებლის ქანდაკებას შეეხნენ და დიდი მეფე დიღმის გზას გაუყენეს. დავით აღმაშენებელი რომ ქართველთა უდიდესი წმინდანია და წმინდანს კი მოწიწებით რომ უნდა ვექცეოდეთ, ეს არავის გახსენებია... თუმცა ჩვენი ნაციონალი „მამები“ ხალხისთვის თავის მოსაჩვენებლად წირვა-ლოცვას არ აკლდებიან და ერთმანეთს ეჯიბრებიან იერუსალიმიდან წმინდა ცეცხლის ჩამოტანაშიც...



თბილისის გულიდან დავით აღმაშენებლის გაძევება არ იკმარეს, ახლა ქუთაისში დიდების მემორიალს მიადგნენ... და ააფეთქეს „ღიმილის ბიჭები“. თურმე ეს მონუმენტი... ქალაქის განვითარებას ხელს უშლიდა(?!) თურმე „როდესაც გადის ტრასა ან შენდება ისეთი დიდი მნიშვნელობის ობიექტი, როგორიც ამ შემთხვევაში პარლამენტია, შეიძლება ამან გამოიწვიოს იქ არსებული მონუმენტის ადგილმონაცვლეობა“ (ხათუნა ოჩიაური). მონუმენტის აფეთქებას ქალბატონი პარლამენტარი ადგილმონაცვლეობას უწოდებს? ანდა რატომაა პარლამენტი მემორიალზე დიდი მნიშვნელობის ობიექტი, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ღიმილის ბიჭებს რომ ეძღვნება? თუ ის ბიჭები ქართველები არ იყვნენ და სამშობლოსთვის არ სწირავდნენ თავს? როგორც ჩანს, ნაციონალები ისევ ვერ ამოდიან საკუთარი ნაჭუჭიდან და საქართველოს ისტორიის ათვლას ჯიუტად 2003 წლიდან იწყებენ. რომ ამოუჩემებიათ, ტრაგედია უსაფრთხოების ნორმების დარღვევამ გამოიწვიაო, ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულან ვითომ პატრიოტი ნაციონალები უფლის რისხვაზე? ეს უდანაშაულო დედა-

ამ პატარა ქვეყანას თურმე ერთი პარლამენტი არ ყოფნის, მეორეც უნდა წამოვჭიმოთო... ჩვენი გაუბედურებული ქვეყნის ხსნის გასაღები პარლამენტში და რეზიდენციებში ყოფილა დამალული. პარლამენტი თურმე ქვეყნის განვითარებას უწყობს ხელს, შინმოუსვლელი პაპებისა და პაპის პაპების ხსოვნა კი ვის რად სჭირდება?! უნდა ავაფეთქოთ, ჩავწიხლოთ. ახლა ჯერი „ჯარისკაცის მამაზეა“. ამას წინათ, წავიკითხე ვინმე მონაციონალო კრიტიკოსის მიერ რეზო ჩხეიძის ამ დიდებული ფილმის კრიტიკა. მოიმარჯვეთ ნაჯახი ძვირფასო ნაციონალებო, და გურჯაანში გაანადგურეთ ხელოვნების „ჩამორჩენილი“ ნიმუში, ჯარისკაცის მამის ძეგლი, სამაგიეროდ ბუშის მონუმენტი აღუმართეთ კახელებს... და საქართველო გაბრწყინდება! თქვენ კი ისტორიაში შეხვალთ როგორც ძეგლებთან მეომარი მთავრობა.

თურმე პრეზიდენტი შეძრწუნებულია მომხდარით და დანიაში ვიზიტი შეუწყვეტია. არადა, დღეს მთელი საქართველოა შეძრწუნებული და შეძრული არა მარტო უდანაშაულო მსხვერპლით, არამედ, თვით გმირთა მარადიული ხსოვნის შეურაცხყოფით!

**...ძრწოდეთ, უგუნურებო — მტრის ჯინაზე „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“!..**

**თამარ შაიშმელაშვილი**

წინასაახალწლოდ

# ტკბილად დაგვიბერდით, ვეტერანებო!

**ახლა, საითაც გაიხედავ, ყველგან საახალწლო სამზადისია. წესრიგში მოჰყავთ სკვერები და გაზონები, დგამენ ნაძვის ხეებს, ფერადი ნათურებით ალამაზებენ შენობებს, და, რა თქმა უნდა, ქუჩაში მრავლად შეხვდებით ბაზრებიდან თუ მაღაზიებიდან დამძიმებული ჩანთებით შინ მიმავალ ადამიანებს.**

ახალი წელი უკვე გზაშია!

ღონისძიება, რომელიც სწორედ ახალ წელს დაუკავშირეს, გორის მუნიციპალიტეტში გაიმართა. აქ მოიწვიეს ღვაწლმოსილი, საზოგადოების მიერ პატივით გარემოსილი ადამიანები, ვინც ათეული წელი ქვეყნის ნამუსიან სამსახურში გაატარა, ფაშიზმსაც ებრძოდა და მშვიდობიან შრომაშიც პირველობდა.

სწორედ მათს შესახებ ისაუბრა ვეტერანების მიღებაზე გორის გამგებელმა დავით ხმიადაშვილმა. მან დამსწრეთ დამდეგი ახალი წელი მიულოცა და საახალწლო ნობათიც გადასცა.

საახალწლოდ გორელი ვეტერანები დიდებული „ქინძმარაულით“ შეავსებენ სასმისებს და ნამცხვარ-შოკოლად-შაქარლამით დალოცავენ ოჯახის წევრებს.

**გურამ ვაშაკიძე,** საკ. კორ.

ინფორმაცია

## უგულავა თბილისელ პენსიონერებს სხვა პენსიონერებთან აპირისპირებს

**საპარლამენტო უმცირესობა თბილისის მერის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომელიც დედაქალაქში პენსიის 10 ლარით გაზრდას ითვალისწინებს. ლევან ვეფხვაძის განცხადებით, პენსიის ზრდა მხოლოდ თბილისში მცხოვრებ მოსახლეობას შეეხება და ასაკობრივი ზღვრის მიხედვით გადანაწილდება, რაც დაუშვებელია. გიორგი თარგამაძის პოლიტიკური გუნდი გიგი უგულავას დეტალების დასაზუსტებლად რამდენიმე შეკითხვას უგზავნის.**

**— რა დააშავეს ჩვენს სოფლებში, რაიონებში, მუნიციპალიტეტებში, ქალაქებში მაცხოვრებელმა პენსიონერებმა. ეს არის კითხვა, რომელიც ჩვენ დავსვით და დავუსვავთ ამ კითხვას ასევე თბილისის ხელმძღვანელობასაც. რა დააშავეს ინვალიდებმა, მხოლოდ ასაკობრივი პენსია რომ იზრდება და არა სხვა პენსიები, — აცხადებს ლევან ვეფხვაძე.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲠ-ᲔᲜᲘ

◎ გლობუსი

# უპასუხო კითხვა – გვეშველება რამე?

**გვეშველება რამე? ამ შეკითხვამ ოცი წელია „გამარჯობა" ჩაანაცვლა. ადამიანები მისალმების ნაცვლად ცდილობენ დაადგინონ რამდენ ხანს გასტანს გაუსაძლისი ვითარება, რაც საქართველოშია გამეფებული. გვეშველება თუ არა, ყოფნა-არყოფნას ემსგავსება. გენიალური შექსპირის სიტყვები ყოველდღე გვახსენებს თავს. გვეშველება-არგვეშველების აღქმა ორად გაყოფილი საზოგადოებისთვის დიამეტრალურად განსხვავდება. ზოგს მიაჩნია, რომ საშველი არაფერია, ნაშველიცა ვართ და გაბრწყინებულიც. ასეთები უმთავრესად ხელისუფლებაში არიან ან მის მიერ წახალისებულ ბიზნესში. მათი ცხოვრება 2004 წლიდან ყვავის – მაღალი ხელფასებით, უფრო მაღალი სხვა შემოსავლებით – თავის დროზე „ლევის" რომ უწოდებდნენ, შინ და უცხოეთში აშენებულ-შეძენილი სასახლეებით, უძვირფასესი სატრანსპორტო საშუალებებით, და სხვა.**

ზოგი კი მიიჩნევს, რომ ქანცგამოცლილი შრომის შედეგად მიღებული მიზერული შემოსავალი ნაკლებ შანსს იძლევა ხვალინდელზე ფიქრისათვის. ლუკმაპურის მოპოვებისათვის, სისტემატურმა დევნამ მოსახლეობის უმეტესობას დაუკარგა წინათ არსებული საოჯახო ბიუჯეტის დაგეგმვის ტრადიცია, რასაც ადგილი ჰქონდა ავადსახსენებელ საბჭოეთში და რასაც ადგილი აქვს ცივილიზებულ მსოფლიოში.

**გვეშველება რამე? ალბათ თუ 2004 წელს შეყრილ, ღორის გრიპზე საშიშ ავადმყოფობას მოვიშორებთ და მასთან ერთად დახავსებულ აზროვნებას, ყოყოჩობას, დაუნახაობას, საკუთარ თავზე დიდ წარმოდგენას, უცოდინარობას სხვა მანკიერ თვისებებს. რამდენად იოლია ამის გაკეთება? არცთუ იოლი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელისუფლების კონტროლსდაქვემდებარებული საინფორმაციო წყაროებიდან ულევად მორაკრაკებს საწინააღმდეგო, როდესაც არარაობისგან ახალ-ახალი „საგმირო" ისტორიები იძერწება, როდესაც მანკიერება ჭეშმარიტად გვეხვევა თავს, როდესაც ჩვენს „სახელოვან" პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, ექსპერტებს, ახალ ინტელიგენციას საშური მუყაითობით გვერდში უდგანან სააკაშვილ-ბენდუქიძის მიერ ნაპატიები რუსი ჟურნალისტ-ექსპერტები ლატინინები, ალბაცები, ბიჩკოვები, ფელგენგაურები, სხვები და სხვები – სააკაშვილის საქართველოს სადიდებლად.**

**გვეშველება რამე? გვეშველებოდა, რომ ოპოზიცია ოპოზიციას ჰგავდეს, რომ მას თავი არ მიეცა ამქვეყნიური სიამოვნებისთვის, ორ გროშად სული არ მიეყიდა ამ და ცხრა მთას იქით მყოფ ხელისუფალთათვის.**

**გვეშველება რამე? გვეშველება თუ საზოგადოება იქნება კატეგორიული და მომთხოვნი, როგორც შინაურის, ისე გარეულის მიმართ, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიმართ. მაშინ ვერავინ გაბედავს საზოგადოებას აკადროს ის, რასაც ხელისუფლება – ოპოზიცია აკადრებს მას.**

საქართველოს მოსახლეობისთვის უცხოა ის რასაც ადგილი აქვს სამოქალაქო პასუხისმგებლობით აღსავსე უცხოეთში. ქართული საზოგადოება გაოცებული შეჰყურებს ანტიგლობალისტთა, კლიმატის დამცველთა, პაციფისტთა, სხვათა გამოსვლებს, პოლიციასთან შეტაკებას. „მოცლიათ ამათ" – ამბობს ქართველი, რითაც ემიჯნება იმას, რაც მსოფლიოში ხდება. სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირის ფორმულა მყარად არის გამჯდარი მის გონებაში. **საქართველოს მოსახლეობას არ აწუხებს ის, რაც სხვას, მაგრამ მას სურს, რომ სხვამ შეიწუხოს თავი ქართული პრობლემებით. საქართველოს მოსახლეობა გულგრილად ადევნებდა თვალს კოპენჰაგენში მიმდინარე გაეროს კონფერენციას, მსოფლიო კლიმატთან დაკავშირებით და კლიმატის დამცველთა დემონსტრაციებს, პოლიციასთან ხელჩართულ შეტაკებებს, თმის გადაპარსვას.** მსოფლიო განსაცდელშია. მას შველა სჭირდება. სწორედ ამისათვის კოპენჰაგენში თავშეყრილმა 193 ქვეყნის მეთაურმა და ათეულ ათასობით დემონსრტანტმა, ორი კვირის განმავლობაში ძალა არ დაიშურა (განსაკუთრებით დემონსტრანტებმა) კონსტრუქციული დოკუმენტის მისაღებად. გამორჩეულად კატეგორიული იყო განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის, აფრიკის ხმა. ისინი დიდი სახელმწიფოებიდან ითხოვდნენ წერტილი დაესვათ ატმოსფეროს დაბინძურებისათვის. ანუ მრეწველობის შედეგად ისეთი გამონაბოლქვის შემცირებისათვის, რომელიც ათბობს მსოფლიო ტემპერატურას, რის შედეგად ადგილი აქვს ანტარქტიკისა და არქტიკის ყინულების დნობას, ზღვის დონის აწევას, გაუთავებელ წვიმებს, მეწყერს, სხვა კატაკლიზმებს. ატმოსფეროს დაბინძურებაში ბადალი არ ჰყავს ჩინეთს – 24 პროცენტი, აშშ – 21 პროცენტი, ევროკავშირს 12 პროცენტი, რუსეთს – 6 პროცენტი. განვითარებადი ქვეყნების დაბეჯითებულმა მოთხოვნამ გაჭრა. კოპენჰაგენის დოკუმენტით დიდმა სახელმწიფოებმა პასუხისმგებლობა აიღეს მავნე გაზების იმ დონემდე შემცირებისათვის, რაც არ გამოიწვევს ატმოსფეროს 2 გრადუსზე მეტად გათბობას. გარდა ამისა ისინი დათანხმდნენ 2020 წლამდე, წლიურად 100 მილიარდი დოლარის გამოყოფაზე მესამე ქვეყნების დასახმარებლად.

კოპენჰაგენის დოკუმენტი სავალდებულო არ არის, მაგრამ მის მიხედვით 6 თვის შემდეგ ბონის შეკრება სავალდებულოც იქნება და წერტილს დაუსვამს უამრავ პრობლემას. კოპენჰაგენი მანიშნებელია იმისა, რა შეუძლია ხალხს. მავანი იტყვის – მოგცლია ერთი, რა დროს კლიმატია, როდესაც შიმშილით კუჭი გვიხმება, მაგრამ აფრიკის ქვეყნებიც რომ არიან დალხინებული?

გვეშველება რამე? გვეშველება თუ სხვის სატკივარს გავიზიარებთ, არადა კლიმატი სხვისი რომ გვგონია – ჩვენიცაა. გავიხსენოთ მთიანი აჭარის მეწყერები, საქართველოს სხვა კუთხეთა ბუნების კაპრიზებით გამოწვეული ზარალი. სახელისუფლებო შემოტევასთან ერთად ჩვენს მიერ უდიერად მოპყრობილი ბუნებაც გვიტევს, ოცი წელია ქართველი აწვალებს ბუნებას. ჭრის და ანადგურებს ტყეებს, საძოვრებს, მდელოებს, აბინძურებს მდინარეებს, ზღვას. დღევანდელ კვერცხს დახარბებულმა ლამის უდაბნოდ აქცია ერთ დროს დაბურული ტყით დაფარული ტერიტორიები. ქართველმა ისიც მოახერხა თავისსავე დარგულ-გახარებულს ხერხით დარეოდა და მიწის პირთან გაესწორებინა ძლივს ნაზარდი ხეები. გავიხსენოთ თბილისის ფილტვებად წოდებული ვაკის ხელოვნური პარკი.

წინა და დღევანდელ ხელისუფალთა წყალობით პარკის წითელი ხაზი ლამის შადრევანთან გადმოიტანეს, რითაც საშუალება მისცეს ხაზს იქით უპატრონოდ დარჩენილი მწვანე ზოლში უცხო ქვეყნების საელჩოთა და ელიტარულ საცხოვრებელ სახლთა მშენებლობას. ამ უთანასწორო ომს რამდენიმე ათასი ძირი ხე შეეწირა. **ამას წინათ პრეზიდენტმა ბრძანა – კომუნისტები პარკებს ქალაქგარეთ, მოსახლეობისთვის მოუხერხებელ ადგილებში აშენებდნენო, ჩვენ კი ქალაქის ცენტრში ვაშენებთო. მსგავს მამალ ტყუილს მიიჩვია მსმენელი. არადა სწორედ კომუნისტების დროს გაშენდა ვაკის და მთაწმინდის პარკები, მწვანე სამოსით დაიფარა თბილისის შემოგარენი ტიტველი მთები, დიღომში, ვარკეთილში, სამგორში გაშენდა საბჭოთა მეურნეობები ხილის ბაღებითა და ვენახებით – თბილისის ზღვის ხრიოკ ტერიტორიაზე გაჩნდა ხელოვნური წყლის რეზერვუარი, ბაღები და სანაშენე მეურნეობები, რომელი ერთი ჩამოვთვალო.** სამწუხაროდ, სამოცდაათიან წლებში მამათა მიერ გაშენებული მეურნეობები შვილებმა მოსპეს, გაჩეხეს ხეხილის ბაღები, გაჩეხეს ვაზი, მათ ნაცვლად ახალი საცხოვრებელი მასივები ააშენეს, თითქოს სხვაგან ტრიალი ადგილი არ გამოიძებნებოდა. **იმ „სანაქებო" კომუნისტთა შვილებმა და შვილიშვილებმა ქალაქის ცენტრში არსებული ბაღები „ზედმეტი" ხისგან ისე გამოხშირეს, გზა გეგონება და არა ბაღი. ჰაერის სისუფთავეს აშკარად არ უწყობს ხელს თბილისის ისედაც ვიწრო ქუჩების დავიწროება, უადგილო ადგილას შუქნიშნების დაყენება. ტრაფიკის ხელოვნური შენელება ან გაჩერება ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო გამონაბოლქვის გაზრდის ტოლფასია. ქუჩების დავიწროებით გამოწვეული საცობები თვალშისაცემია, ისევე, როგორც გამოყოფილი მომწამვლელი გაზები, მაგრამ აქცევს ვინმე მას ყურადღებას? საზოგადოება ინდიფერენტულად უმზერს ყოველივეს, თითქოს ფულს დახარბებული ხელისუფლების ოინების შედეგი მასზე არ მოქმედებდეს. საყოველთაო ინდიფერენტიზმის პირობებში ალბათ არ გვეშველება. არც მაშინ გვეშველება, როდესაც ნებისმიერ მოხელეს თავს ვატყუებინებთ, ზოგჯერ კი ხოტბას ვასხამთ ქვეყნისათვის „უზადო" სამსახურისთვის. გაიხსენეთ რამდენი საქებარი სიტყვა დაიხარჯა ტელეკომპანია „კავკასიის" მაყურებელთა მხრიდან სტუდიაში მოწვეული საგარეო საქმეთა მინისტრისა და მისი თანმხლები ბედოვლათების მიმართ. როდესაც ესოდენი აღტაცებაა, არ უნდა გაგვიკვირდეს აშშ-ში საქართველოს ელჩის ქუთელიას უმეცარი**



**განცხადებების. ამას წინათ დიპლომატი ვაშინგტონიდან გვმოძღვრავდა, რომ თურმე საფრანგეთს პარტნიორებისათვის მოუწევს დეტალური ახსნა-განმარტების მიცემა თუ რა პრინციპების საფუძველზე აპირებს რუსეთისთვის საბრძოლო გემების მიყიდვას", თურმე, „ევროკავშირის ქცევის კოდექსი" პირდაპირ უკრძალავს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს კონფლიქტის მხარისათვის იარაღის მიყიდვას? ევროკავშირის ქცევის კოდექსი არც კანონია და არც ვინმესთვის სავალდებულო შესასრულებელი. ევროკავშირი არც საბჭოთა კავშირია და არც აშშ-ი, რომ მასში ნებაყოფლობით შესულმა სუვერენულმა სახელმწიფოებმა ზურგზე ბრიუსელის უღელი დაიდგას. ევროკავშირი არ არის ზენაციონალური სისტემა. ასე რომ, წევრი სახელმწიფოების მიერ საფრანგეთისათვის თითის დაქნევა, რბილად რომ ვთქვათ, უტაქტობაა და საშინაო საქმეებში ჩარევა!**

**გარდა ამისა, რომელ ქცევის კოდექსს ექვემდებარებოდა 2008 წლის 7 აგვისტოს სამხედრო შეტევა საკუთარ ხალხზე? მაშინ ქუთელია თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო და აქტიურად იყო ჩართული სამარცხვინო ომში.** ქართული დიპლომატია თავდავიწყებით ებრძვის რუსეთს ნაცვლად საერთო ენის გამოძებნისა. ელჩს ავიწყდება, რომ საფრანგეთის გარდა სამხედრო კატარღებს სხვებიც აშენებენ, მათ შორის რუსეთიც, რაც თავისუფლად აძლევს რუსეთის არმიას შანსს აისრულოს სურვილი. ხელისუფლების მიერ ატეხილი ჩოჩქოლი ქარის წისქვილებთან ბრძოლაა, შესაბამისი შედეგით. ქართული საზოგადოების განსაკუთრებით ხელისუფლების ნაკლი უცოდინარობაშია და რაც მთავარია – დროისათვის შეუფერებელ ქცევაში. გასული წლის ცხინვალის ომის შემდეგ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. დასავლეთმა საკუთარი თვალით იხილა, რომ რუსეთთან უხეირო თამაში მისთვის წამგებიანია. არც ენერგეტიკულმა ომმა გაამართლა. დასავლეთს ისღა დარჩა შეგუებოდა ვითარებას და მკაცრი დამრიგებლის როლი მთხოვნელის როლით შეცვალა. დასტურად ნატოს გენერალური მდივნის რასმუსენის მოსკოვური ვიზიტიც კმარა. რით იყო აღსანიშნავი ეს ვიზიტი? უპირველესად თხოვნით – ავღანეთში მებრძოლთათვის საწვავის და იარაღის მიწოდება.. დავუმატოთ ამას რუსეთის საჰაერო და სახმელეთო ტრანზიტი, რათა ყოველგვარი გაზვიადების გარეშე წარმოვიდგინოთ დასავლეთისათვის რუსეთის მნიშვნელობა. თუ ნატოსთვის შეიძლება ფლ-47 ავტომატებისა და ვერტმფრენების შეძენა რუსეთისგან, რატომ არ შეიძლება რუსეთმა შეიძინოს ნატოს წევრისგან გემები? ეს კითხვა არა მარტო ყმაწვილ „დიპლომატს" ეხება, არამედ სხვასაც.

**გვეშველება რამე? როდესაც მინისტრი ვაშაძე მოგვიწოდებს რუსეთის დავიწყებას, ჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. კითხვაზე პასუხის გაცემა მაშინაც ჭირს, როდესაც თევზივით ვდუმვართ ხელისუფალთა ახალ-ახალ ვანდალიზმზე, თუნდაც ისეთზე, რაც ქუთაისში მოხდა. ფართო საზოგადოება უსიტყვოდ შეხვდა დავით აღმაშენებლის ძეგლის ცენტრიდან განდევნას, ილია ჭავჭავაძის, მემედ აბაშიძის ძეგლების სხვაგან გადატანას, დიდების მემორიალის აფეთქებას. ხალხი გულგრილად უყურებს ხელისუფალთა გააფთრებულ ბრძოლას ძველი თუ საბჭოური ისტორიის წინააღმდეგ. სამამულო ომში დაღუპულმა 300 000 ქართველმა გმირმა მეორედ განუტევა სული, ამჯერად, უფრო მტკივნეულად, საკუთარი სისხლისა და ხორცისაგან.**

**გვეშველება რამე? გვეშველება! ერთ კვირაში შემოვუსხდებით საახალწლო სუფრას და ისეთ სადღეგრძელოებს შემოვძახებთ – სამშობლოს, წინაპრების, მეგობრობის, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველოს სადიდებლად უცხო ქვეყნის შვილს წარსულის პატივისცემად რომ მოეჩვენებათ...**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

◎ პოზიცია

# „1991 წლის დეკემბრის მოვლენები ნამდვილად არ იყო ედპ-ს დამსახურება"



***წლის ბოლოს ან 2010 წლის იანვრის დასაწყისში საქართველო ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ სტრატეგიას მიიღებს. ოფიციალური თბილისის მტკიცებით, ეს სტრატეგია, რომელიც ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთანაა შეთანხმებული, ქვეყნის სამოქმედო გეგმა გახდება. ამ ეტაპზე დოკუმენტის შინაარსი უცნობია, თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები იძლევიან იმის პირობას, რომ ეს სტრატეგია საჯარო გახდება.***

***თუმცა ედპ-ს ლიდერის ბაჩუკი ქარდავას განცხადებით, რომელიც 21 დეკემბერს ზემოხსენებულ საკითხზე გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომას ესწრებოდა, რეალურია იმის საფრთხე, რომ სახელმწიფოს სტრატეგია ფარატინა ქაღალდად იქცეს.***

– ამ სტრატეგიის არსებობა აბსოლუტურად მისაღებია და თვითონ დოკუმენტის სქემა ძალზე მნიშვნელოვანია. თუმცა, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ჰქონდა შენიშვნები, რომლებიც უშიშროების საბჭოს სხდომაზე ვთქვი. ამ დოკუმენტზე დეტალურად ვერ ვისაუბრებ, რადგან ის ჯერჯერობით საჯარო არ არის. თუმცა ვიტყვი, რომ ეს სტრატეგია არ მოიცავს სამოქმედო გეგმას. თუ არ იარსებებს სამოქმედო გეგმა აფხაზეთთან და ცხინვალთან მიმართებაში, ეს დოკუმენტი არაფრის მომტანი იქნება. მეორეც, დოკუმენტი ამ რეგიონების მოსახლეობასთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების დაწყებას გულისხმობს. ამ ნაწილის მიმართ პრინციპული შენიშვნა გვქონდა. უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის ე.წ. ხელისუფლებები საოკუპაციო რეჟიმებია. ამდენად, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, ამ ე.წ. ხელისუფლებებთან რაიმე სახის სავაჭრო ან ეკონომიკური ურთიერთობების დაწყება. აბსოლუტურად მისაღებია, თუ იქ მცხოვრებ მოსახლეობას ქართული სახელმწიფო ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევს. ჩემთვის გაუგებარია, თუ რა სახის ეკონომიკურ ან სავაჭრო ურთიერთობებზეა საუბარი, განსაკუთრებით, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონთან მიმართებაში. ამაზე პასუხად მივიღეთ, რომ დოკუმენტზე მუშაობა გაგრძელდება და სამოქმედო გეგმაც ჩამოყალიბდება.

**– ამ სტრატეგიის ნაწილი არის თუ არა, ან უნდა იყოს თუ არა, სერგეი ბაღაფშისა და ედუარდ კოკოითის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მათზე ძებნის გამოცხადება?**

იხ. 6 გვ.

◉ პოზიცია

# „1991 წლის დეკემბრის მოვლენები ნამდვილად არ იყო ედპ-ს დამსახურება“

(მეხუთე გვერდიდან)

— ეს საკითხი უშიშროების საბჭოს სხდომაზე პაატა დავითაიამ დასვა. არ ვიცი, რამდენად მოხერხდება ბალაფშსა და კოკოითზე ძებნის გამოცხადება. თუმცა, ფაქტია, რომ ბაღაფში და კოკოითი საქართველოს სახელმწიფოს წინაშე, სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან.

**— ზოგიერთი ქართველი ექსპერტი მიიჩნევს, რომ არ უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები“, რადგან ეს, თურმე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას აღიზიანებს.**

— კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას და ეს საკითხი უშიშროების საბჭოს სხდომაზეც დავსვი. ეს სახელწოდება პრინციპულია, რადგან რეალობას ასახავს. დღეს დიპლომატიური სიფრთხილის გამო თავს შევიკავებთ ზუსტი სახელწოდებების მინიჭებისგან, ხვალ და ზეგ ეს მთელი ქართული სახელმწიფოს თავის ტკივილი გახდება. არ იქნება სწორი, რომ ეს თავის ტკივილი მოვაშოროთ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ჩვენზე გადმოვიტანოთ. მიმიხვდით, ალბათ, რასაც ვამბობ.

**— გასაგებია. ბოლო პერიოდში, ქართველმა ექსპერტებმა და ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა მოუხშირეს ცხინვალში ვიზიტებს. ზურაბ ნოღაიდელისა და კოკოითის შეხვედრა ტირძნისელი ბავშვების განთავისუფლებას დაემთხვა. რამდენიმე პოლიტოლოგმა მაშინვე განაცხადა, რომ რუსეთმა ნოღაიდელს კოჭი გაუგორა.**

— ყოველ შემთხვევაში, კოჭის გაგორების მცდელობას ნამდვილად ჰგავდა. თუმცა, არა მგონია, რომ გონიერმა ადამიანმა დაიჯეროს, რომ ამ ერთმა ჩასვლამ გადაწყვიტა ბავშვების გათავისუფლების საკითხი. ეს ევროსტრუქტურების ზეწოლის შედეგია და რუსეთი იძულებული იყო, ეს ნაბიჯი გადაედგა. უბრალოდ, მოსკოვმა იმ ადამიანებს, რომლებიც რუსეთის მიმართ ლოიალურები არიან, საშუალება მისცა, ეს თავიანთი პიარისთვის გამოეყენებინათ.

**— თავად კოკოითთან შეხვედრას მნიშვნელობა არ აქვს? ეს ფაქტი რამდენად მისაღებია თქვენთვის? მაგალითად, თქვენ ცხინვალში რომ მიგიწვიონ, ჩახვალთ და შეხვდებით კოკოითს?**

— მე ნამდვილად არ ვიკვებები იმ ილუზიით, რომ ბაღაფშთან და კოკოითთან კონტაქტი სიკეთის მომტანია. ასეთი კონტაქტებით არანაირი შედეგის მიღწევა არ შეიძლება. არ უნდა გადავიდეთ ზღვარს, ეს არის საქართველო-რუსეთის ომი და არ უნდა წარმოვაჩინოთ ისე, თითქოს ეს ომია ქართველებსა და აფხაზებს ან ქართველებსა და ოსებს შორის. ბაღაფში და კოკოითი რუსეთის მარიონეტები არიან და მათთან კონტაქტს აზრი არ აქვს. სხვა საკითხია, თუ ვინმეს რუსეთთან სურს კონტაქტი და მიაჩნია, რომ ამ გზით ტერიტორიების დაბრუნება შესაძლებელია. ამასთან დაკავშირებითაც ძალზე ნეგატიური დამოკიდებულება მაქვს და მიმაჩნია, რომ რუსეთის საბოლოო მიზანია ქართული ვექტორის შეცვლა ჩრდილოეთისკენ. სანამ ეს ვექტორი არ შეიცვლება, რუსეთი დათმობებზე არ წამოვა. ამდენად ყველა ეს კონტაქტი, რბილად რომ ვთქვათ, მიზანშეწონილი არ არის. ალბათ, ამ ადამიანებს არ ესმით, რეალურად რასთან აქვთ საქმე.

**— და რომ მოხდეს სასწაული და ხვალ ვექტორი ჩრდილოეთისკენ შევცვალოთ, რუსეთი, თქვენი აზრით, ტერიტორიებს დააბრუნებს?**

— რუსეთი არათუ დააბრუნებს აფხაზეთს და ცხინვალს, არამედ მთლიანად საქართველოს გახდის იმპერიის ნაწილად. ეს უკვე გავიარეთ, ეს უკვე იყო. ახალი არაფერი იქნება.

**— თქვენ ზემოთ თქვით, რუსეთთან კონტაქტის მომხრე ადამიანებს არ ესმით, რასთან აქვთ საქმეო. დარწმუნებული ხართ, რომ ასეთი გულუბრყვილოები არიან იმ პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მოსკოვში თვეში სამჯერ რომ ჩადიან? ალბათ, არც ალექსანდრე ებრალიძე უნდა გამოგრჩეთ, რომელიც მუდამ რუსეთთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე საუბრობს.**

— პირდაპირ დავარქვათ ყველაფერს სახელი: რუსეთი ცდილობს, რომ თავისი აგენტურა გაასაჯაროოს და გააპოლიტიკოსოს. ეს ამის მცდელობაა. რუსეთი ვერა და ვერ მიხვდა, რომ უკვე გაცვეთილ პოლიტიკურ ფიგურებზე არ უნდა გაკეთდეს აქცენტი. თუმცა, ეს ჩვენთვის კარგია, რადგან არა მგონია, რომ ამან რუსეთს რაიმე შედეგი მოუტანოს.

**— რუსეთის მიერ ქართული პოლიტიკური ძალების გამოყენებაზე ვსაუბრობთ და ამიტომაც, შეგეკითხებით. დღეს „თბილისის ომის“ მე-18 წლისთავია და ამ მოვლენებში აქტიურად მონაწილეობდა ედპ. გულახდილად თქვით, მაშინ გამოიყენა რუსეთმა ედპ?**

— პასუხს ნამდვილად არ ავარიდებ თავს. ბოლო პერიოდში, ედპ მუდმივად აკეთებს განცხადებებს, რომ რაოდენ სწორი გათვლებითაც არ უნდა დაიწყოს ქვეყანაში რევოლუციური პროცესები, ამ პროცესებს ხელში იგდებს სხვა ქვეყნის სპეცსამსახური და შეიარაღებული ძალები. 1991 წლის დეკემბრის მოვლენები ნამდვილად არ იყო ედპ-ს დამსახურება. კი ბატონო, 2 სექტემბერს ვალიარებთ, თუმცა, თითოეული ჩვენი საპროტესტო აქცია დემოკრატიული პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო. როგორც კი, ამ პროცესში ჩაერთვნენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები და იმავე ხელისუფლების წიაღიდან გამოსული შეიარაღებული ძალები, მაშინ ედპ-ც და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიც პოლიტიკური პროცესების მიღმა დარჩნენ. ისინი ამ პროცესებიდან ჩააჩოჩეს და ძალაუფლება აიღეს იმ ძალებმა, რომლებმაც საქართველო ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს.





◉ დღევანდელობა

# ბათუმი, ევრომოედანი...

**ახმაურდა მორიგი რეკლამა, მაგრამ რა ახმაურდა... ტრიალებს, მაგრამ რა ტრიალებს... რამდენჯერ, მაგრამ რა ბევრჯერ... სახელები და რა სახელები... ვარსკვლავები და რა მოკაშკაშენი:**

ხოსე კარერასი, გვიდო ლოკონსოვო, ზურაბ სოტკილავა, ლადო ათანელი, გია გაგნიძე, მარიკა გულორდავა, სოფო ნიჟარაძე, ნინო სურგულაძე, ნინო მაჩაიძე, ლიზა ბათიაშვილი, იგორ გუტმანი... ჰეი, ვინ მოდის მანდ კიდევ უცხოეთიდან... ხომ არ გამომრჩა ვინმე...

ერთი მათგანი მსოფლიოს პირველი ხმაა, მეორე — მეორე, ერთი ამომავალი მარია კალასია, მეორე — ამოსული ამელიტა გალი-კურჩი, მესამე — ახალი რენატა ტებალდი...

ახლა „გეოგრაფიას“ არ იკითხავთ? მილანი; ლა-სკალა; ლონდონი; კოვენტ-გარდენი; ნიუ-იორკი, მეტროპოლიტენ-ოპერა...

ბათუმში, ევროპის მოედანზე შეიყრიან თავს და სამი დღის მანძილზე უფასო კონცერტებს გამართავენ, ჯერ არნახულს, ჯერ არმოსმენილს... იჩქარეთ, მაღალფასიანი საგზურები თბილისში, თავისუფლების მოედანზე გაიყიდება, ბათუმისკენ დამატებითი მატარებლები დაინიშნება; ბათუმში, გონიოში, ქობულეთში დღე და ღამე იმუშავებენ სასტუმროები, რესტორნები, ბარები, თუმცა „ფასით“, რასაკვირველია...

თავგადაკლული მელომანი გახლავართ (მომიტევეთ ჩემს თავზე ლაპარაკი), საოპერო მუსიკის სიყვარულში, გინდ იტალიური ოპერების ზეპირად ცოდნაში (რა თქმა უნდა, ქართულისა და რუსულის მერე) ბევრს ტოლს არ დავუდებ (მაპატიეთ ატრაბახება) და მიხარია ბათუმის ცაზე ასეთი ვარსკვლავების (ანუ ჩამოთვლილის) აკიაფება. ქება და დიდება იმათ უფასო გამოსვლებისათვის; რა ვუყოთ, თუ თავისუფლების მოედანზე საგზურის შეძენის, დამატებითი მატარებლით ბათუმში გამგზავრების, იქაურ სუპერსასტუმროში დაბინავების თავი (ჯიბე!) არა მაქვს, მაგრამ ტელეეკრანიდან მეც ხომ შემხვდება „ჭადის ნატეხი“...

ხოტბა-მეთქი საოპერო ვარსკვლავებს უფასო კონცერტებისთვის, მაგრამ დავიჯერო ეგენი, გინდ ქართველები, გინდ უცხოელები, უანგაროდ, უჰონორაროდ მობრძანდებიან? და თუ არ უნდა დავიჯერო, რამდენ ასეულ ათასობით უხდიან გინდ დოლარს, გინდ ევროს, საახალწლო-საბათუმე გასტროლებისათვის?..

ჩვენ ხომ რუსლანას, დოტის, კიდევ სხვათა „მრავალათასიანი“ ჩამოსვლის მწარე გამოცდილება გვაქვს... ჰოდა, რამდენი დაუჯდება ისედაც გაძარცვულ ქართულ სახელმწიფო ხაზინას ეგ ბათუმურ-ბითუმური სამდღიანი შოუ, ჯერ არნახული, ჯერ არსმენილი, მხოლოდ ერთხელ რომ ხდება?

ისე ხომ არ გამოვა, რომ საოპერო ვარსკვლავნი ჩამოვლენ, წავლენ და პენსიონერნი კი დარჩებიანო? და რომ დარჩებიანო, ვაითუ გაისად, ათასობით დარჩენილთ (მეც მათ რიცხვში), საცოდავი 85-ლარიანი პენსიის მიღებაც გაურთულონ ჩვენთა ხელისუფალთა, პიარის, თვალებში ნაცრის შეყრის, პოტიომკინური ფასადის მოყვარულთა...

ამდენი და ასეთივე ვარსკვლავების მოწვევა, თუ მართლა ოთუზ ბირი დაჯდება, რომელიმე სვეკეთილ ქვეყანას შეეფერებოდა, ჩვენსას — არა. სვეკეთილამდე ხომ ბევრი გვაკლია... ია ტაკ დუმაიუ (თითის აწევით!..)...

**თამაზ ებანოიძე**

◉ ექიმი გვირჩევს

# მიიღეთ ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტები!

**ადამიანი რომ ჯანმრთელი იყოს, მისთვის აუცილებელია ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტების მიღება. ასეთია ფუტკრის სადედე რძე, რომელიც გამოშვებულია ცვილის კაპსულების სახით. ამ კაპსულაში მოთავსებულია 0,1 გრამი ნატურალური ფუტკრის სადედე რძისა და 0,4 გრამი თაფლის ნაზავი.** ეს ძვირფასი პროდუქტი შედგება 40-45 პროცენტი ცილების, 20 პროცენტი თავისუფალი ამინომჟავების, 20 პროცენტი ნახშირწყლებისა და 13-15 პროცენტი ცხიმებისგან. ისინი ორგანიზმის უჯრედების განახლებისა და ცხოველმოქმედებისთვის აუცილებელი ნივთიერებებია და უზრუნველყოფენ ჩვენს ენერგიას, სიმხნევეს და მთლიანად ორგანიზმის გაახალგაზრდავებას, ზრდასა და განვითარებას, ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას, მახსოვრობის გაუმჯობესებას. მასში არსებული ნიკოტინის მჟავა და ბიოტინი აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, პანტოტენის მჟავა ხელს უწყობს თმის ზრდას და თმის ძირების გამაგრებას, დამწვრობის, ჭრილობების და წყლულების შეხორცებას, ხოლო ვიტამინები B1, B2, B3, B6, B12, C, H, PP, E სქესობრივი სტიმულირებაა. მიკროელემენტები: რკინა, თუთია, კობალტი აუცილებელია სისხლის წარმოქმნისა და რეგენერაციისთვის (განახლებისთვის).

ფუტკრის რძეს ასევე აქვს ბაქტერიოსტატიკური და ბაქტერიოციდული თვისებები, ანტირადიაციული და იმუნოგენური მოქმედება. იგი ამაღლებს ორგანიზმის სასიცოცხლო ტონუსს, აწესრიგებს არტერიულ წნევას, ორგანოების ფუნქციონირებას და სისხლძარღვების მდგომარეობას (ელასტიურობას), ეფექტურია ასთენიის, ნევრასთენიის, ათეროსკლეროზის, დეპრესიის დროს, ხსნის ყოველგვარ დაღლილობას. გამოიყენება ასევე ლაქტაციის დარღვევისას მშობიარობის შემდგომ პერიოდში.

მიიღება თითო კაპსულა 1-2-ჯერ დღეში, 10 დღის მანძილზე. განმეორება შეიძლება 2-3 თვის შემდეგ.

ფუტკრის პროდუქტების მიმართ ალერგიული პირებისათვის არ არის რეკომენდებული.

ასეთივე ძვირფასი პროდუქტია ყვავილის მტვერი, რომელიც რთული შემადგენლობისაა. იგი შეიცავს სხვადასხვა ცილებს, ფერმენტებს, მინერალურ ნივთიერებებს, 21 ამინომჟავას, ყველა ცნობილ ვიტამინს, ნახშირწყლებს, ჰორმონებს, პიგმენტებსა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს.

ყვავილის მტვრით მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტურ გავლენას ახდენს ჰიპერტონიის, დიაბეტის, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის, ნევრასთენიის, ასევე ორგანიზმის გადაღლის, უმადობის შემთხვევაში. იგი რეკომენდებულია როგორც დამატებითი საკვები პროდუქტი სპორტსმენებისთვის, სტუდენტებისთვის გამოცდების დროს და ა. შ.

მოზარდებმა ყვავილის მტვერი უნდა მიიღონ 10-12 გრამი (0,5-1 სუფრის კოვზი) დღეში. 12 წლამდე ასაკის ბავშვებმა — 12 გრამი (1 ჩაის კოვზი). მისი მიღება უმჯობესია დღის პირველ ნახევარში ჭამის წინ.

დადგა ზამთარი, რესპირატორული დაავადების, ყელის ტკივილისა და ხველის პერიოდი. ამიტომ გირჩევთ, მიიღოთ თაფლის, ალოესა და ფუტკრის მტვრის ნარევი. ამ ნარევს შეგიძლიათ დაუმატოთ ბოლოკის წვენი. ეს ნარევი შეგძენთ დიდ ენერგიასაც და მნიშვნელოვნად აამაღლებს თქვენს იმუნობიოლოგიურ ძალებს. მიიღეთ ასევე რძის პროდუქტები (ხაჭო, მაწონი და ა. შ.), ბოსტნეული და ხილი. დაიცავით წყლის რეჟიმი.

ასე გავიახალგაზრდავებთ ორგანიზმს და გავიხალისებთ სიცოცხლეს.

**მამია მდინარაძე,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი.

ღვაწლი

# სახელოვანი მეცნიერი და ღირსეული მამულიშვილი

## პროფესორი თამაზ ჭელიძე 75 წლისაა



**ქართული გეოფიზიკის თანამედროვე მესაჭეს, მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წ/კორესპონდენტს, ფიზიკა-მათემატიკისა და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თამაზ ჭელიძეს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.**

თამაზ ჭელიძე დაიბადა 1934 წლის 24 დეკემბერს ქ. ქუთაისში, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ლუკა ჭელიძის ოჯახში. ბატონი ლუკა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, წლების განმავლობაში ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი გახლდათ, ხოლო საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლის შემდეგ სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო.

ბატონმა თამაზმა 1952 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1957 წელს დაამთავრა გეოლოგ-გეოფიზიკოსის სპეციალობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის ბრუნდება საქართველოში და ამ წლიდან მისი საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტს.

1958 წელს ბატონი თამაზი დაინიშნა გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1992 წელს მეცნიერთა საერთო კრებამ ბატონი თამაზი ინსტიტუტის დირექტორად აირჩია. ამ თანამდებობაზე მან 2006 წლამდე იმუშავა. დირექტორად ყოფნის პერიოდში იმავდროულად ხელმძღვანელობდა ექსპერიმენტული გეოფიზიკისა და მიწისძვრების წინამორბედების კვლევის განყოფილებას, რომელიც ქანების ფიზიკის განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა. 2006 წლიდან თ. ჭელიძე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.

1964 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1975 წელს – კიევში სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ზედაპირული ეფექტები ჰეტეროგენული სისტემების დიელექტრიკულ სპექტროსკოპიაში“ და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

*ბატონმა თამაზმა განსაკუთრებული ინტერესი მეცნიერული მოღვაწეობისადმი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა პერკოლაციის თეორიის საკითხებში ინტენსიური კვლევების შედეგად, 1985 წელს მოსკოვში, დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „პერკოლაციის მოდელები რღვევის ფიზიკაში“ და ის გახდა ორგზის მეცნიერებათა დოქტორი, რაც მეტად იშვიათი შემთხვევაა მეცნიერთა პრაქტიკაში.*

ბატონმა თამაზმა განსაკუთრებული ინტერესი მეცნიერული მოღვაწეობისადმი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა პერკოლაციის თეორიის საკითხებში ინტენსიური კვლევების შედეგად, 1985 წელს მოსკოვში, დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „პერკოლაციის მოდელები რღვევის ფიზიკაში“ და ის გახდა ორგზის მეცნიერებათა დოქტორი, რაც მეტად იშვიათი შემთხვევაა მეცნიერთა პრაქტიკაში.

თ. ჭელიძემ გამოკვლევათა პირველი დიდი სერია შეასრულა ქანების ელექტრული სპექტროსკოპიის დარგში, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ახალი მიმართულება – ზედაპირული მოვლენების ელექტრული სპექტროსკოპია. ჩატარებული კვლევების ძირითადი შედეგები შეტანილია მონოგრაფიაში „ჰეტეგერონული სისტემების ელექტრული სპექტროსკოპია“, რომელიც 1977 წელს გამოიცა კიევში.

გამოკვლევათა შემდეგი ციკლი ეხება მყარი სხეულების სტატისტიკურ პროცესებსა და მიწისძვრების კერის ფიზიკას. აღნიშნულ კვლევებში შემოთავაზებულია რღვევის ახალი პერკოლაციული მოდელი; შესწავლილია ბზაროვანი სხეულების ფიზიკური თვისებების ანომალური ტენზომგრძნობიარობის ეფექტი; ნაჩვენებია, რომ სეისმური წინამორბედების სწორი ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია რეჟიმული დაკვირვებების ადგილის ტენზომგრძნობიარობის დადგენა. გამოკვლევების საფუძველზე შეიქმნა კვლევების კიდევ ერთი ახალი მიმართულება „რღვევის პერკოლაციური (ფრაქტალური) მექანიკა“, რომელიც ნათლად არის წარმოდგენილი მონოგრაფიაში „პერკოლაციის თეორიის მეთოდები გეომასალათა მექანიკაში“ („ნაუკა“, მოსკოვი, 1987წ.).

მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია თ. ჭელიძის მიერ ჩატარებული არაერთგვაროვანი სისტემების ელექტრულ თვისებათა გამოკვლევები. მან შეისწავლა სისხლის დიელექტრიკული სპექტრი სხვადასხვა დიაპაზონში სისხლის უჯრედის კონცენტრაციის, ტემპერატურისა და ზემოქმედების დროს. მანვე დაადგინა აგრეგაციის, პათოლოგიის, დაბერებისა და სისხლის დიელექტრიკულ სპექტრზე სხვადასხვა ქიმიური ფაქტორების ზემოქმედების გავლენა. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგები გამოქვეყნებულია ჟურნალ „ბიოფიზიკაში“.

1990-1995 წლებში თ. ჭელიძის ხელმძღვანელობით, თანაავტორებთან ერთად, აიგო საქართველოს სეისმური დარაიონების რუკა, რომელსაც საფუძვლად დაედო კავკასიის ტექტონიკურ რღვევათა ახალი სქემა და კატალოგი, რითაც მნიშვნელოვნად ამაღლდა შესრულებული სამუშაოს პროგნოსტიკულობის ღირებულება. რუკის რეტროსპექტრულმა შემოწმებამ ცხადყო მისი მაღალი ეფექტიანობა. რუკა შედგენილია GIS-ს ტექნოლოგიის გამოყენებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შეფასების ინფორმაციულობას. აღნიშნული რუკა 1999 წელს საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა, როგორც ნორმატიული დოკუმენტი.

თ. ჭელიძის ხელმძღვანელობით გაანალიზებულია ენგურჰესის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში უწყვეტი დაკვირვებით მიღებული დედამიწის ზედაპირის დახრებისა და დეფორმაციების მონაცემთა ბაზა და მიღებულია ამ უნიკალური ობიექტის უსაფრთხო ექსპლოატაციისათვის საჭირო პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე შედეგები. ლაბორატორიული ცდებით დადგენილია მძლავრი ელექტრომაგნიტური იმპულსების გავლენა კრიტიკულ მდგომარეობასთან მიახლოებული მექანიკური სისტემების მდგრადობაზე და ქანების არამდგრადი ხახუნის (სტიკ-სლიპისძ პროცესის კონტროლის შესაძლებლობა შედარებით სუსტი პერიოდული ელექტრომაგნიტური ან მექანიკური რხევების ზედდებით.

ბოლო ათეული წლის განმავლობაში ბატონი თამაზის სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს წარმოადგენს ბუნებრივი პროცესების დინამიკური სირთულის კვლევა. ეს შედარებით ახალი და ძალზე პერსპექტიული სამეცნიერო მიმართულება მჭიდროდ უკავშირდება მის მიერ გასულ წლებში დამუშავებულ და ამჟამად ფართოდ გავრცელებულ სეისმური კრიტიკულობის პერკოლაციურ თეორიას.

თვითორგანიზებული კრიტიკულობისა და გეოფიზიკური სირთულის თეორიების პრინციპების გათვალისწინებით, არაწრფივი დინამიკის დროითი სერიების ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ბატონი თამაზი თავის თანამშრომლებთან ერთად იკვლევს სეისმური პროცესის დინამიკას კავკასიაში. კერძოდ, შესწავლილ იქნა სეისმური პროცესის მახასიათებლების დროითი მწკრივები სხვადასხვა დროითი და სივრცული მასშტაბისთვის.

ამ გამოკვლევების შედეგად დადგენილია მიწისძვრათა მოლოდინის დროების და მიწისძვრების სივრცეში განაწილების საინტერესო თავისებურება – დაბალი ფრაქტალური განზომილება, რაც დროში სეისმური პროცესის შედარებით მაღალი მოწესრიგებულობის ხასიათზე მეტყველებს. აგრეთვე გაირკვა, რომ მიწისძვრების მაგნიტუდების განაწილება შედარებით უფრო მაღალგანზომილებიანია, მაგრამ ისიც მნიშვნელოვნად განსხვავდება შემთხვევითი განაწილებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ სეისმური პროცესის დინამიკის დროით, სივრცულ და ენერგეტიკულ დომენებში მოწესრიგებული სტრუქტურის აღმოჩენას ძალზე დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. არაშემთხვევითი დინამიკური სტრუქტურის არსებობა სერიოზულ არგუმენტს წარმოადგენს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ მიწისძვრების პროგნოზირების პრობლემა არ არის პრინციპულად მიუწვდომელი მიზანი, თუმცა იგი, რა თქმა უნდა, უაღრესად რთულია.

ბატონი თ. ჭელიძე იყო მუშა ჯგუფის ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან საერთაშორისო პროექტისა – „ტოქსიკალ“, ფინეთის, გერმანიის, საბერძნეთის, რუსეთის, სომხეთისა და საქართველოს მონაწილეობით, რომლის მიზანი იყო მიწისქვეშა წყლებში დაბინძურების შეფასება რეალურ დროში.

პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა მადნეულის არეალში მიწისქვეშა წყლების მძიმე მეტალებით დაბინძურება და შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები.

თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება ქ. ბორჯომისა და მიმდებარე სოფლების სასმელი წყლით მომმარაგებელი წყაროების დაბინძურების შესაძლებლობის შესახებ.

აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად შემუშავდა პროექტი „საქართველოში მიწისქვეშა წყლების რესურსების მდგრადი განვითარებისათვის იზოტოპური ტექნიკის გამოყენება“ 2007-2009 წ.წ., რომელიც დაფინანსდა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ. ამ პროექტის ხელმძღვანელები არიან ბატონი თ. ჭელიძე და გ. მელიქაძე. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩასატარებლად გეოფიზიკის ინსტიტუტს უსასყიდლოდ გადმოეცა თანამედროვე უცხოური აპარატურა.

ბატონი თ. ჭელიძე რამდენიმე ათეული წელია ინტენსიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან (საფრანგეთი, აშშ, გერმანია, ჩეხეთი, რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, იაპონიაძ, რაზეც მიუთითებს მათი თანაავტორობით სხვადასხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები. საერთოდ კი ბატონი თამაზის ავტორობითა და თანაავტორობით გამოქვეყნებულია 250-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 5 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო და რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული ბროშურა. მისი ნაშრომების დიდი უმრავლესობა გამოქვეყნებულია რეცენზირებად გამოცემებში, აქედან 60-ზე მეტი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში. მის მიერ მიღებული შედეგები შეტანილია უცხოეთის მრავალ ქვეყანაში გამოცემულ სახელმძღვანელოებში. თ. ჭელიძის მონაცემები შეტანილია მარკუსის ცნობარში „ვინ არის ვინ მსოფლიოში“ და სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის ცნობარებში.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თ. ჭელიძის მიერ შესრულებულმა პროექტმა „ძლიერი ელექტრომაგნიტური განმუხტვების გავლენა სეისმურ რეჟიმზე“, რომელშიც მითითებულია სეისმურ რეჟიმზე ხელოვნური ზემოქმედების შესაძლებლობა. პროექტის შესრულებით მიღებული შედეგები გამოქვეყნებული იყო სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებში ინგლისში, იტალიაში, საბერძნეთსა და ჩილეში.

ბატონ თამაზს მოპოვებული აქვს 14 საერთაშორისო, 8 – ინდივიდუალური საერთაშორისო და 4 ეროვნული სამეცნიერო ცენტრის გრანტი.

გარდა მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობისა, თ. ჭელიძე დიდ სამეცნიერო-საორგანიზაციო და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. იგი წლების მანძილზე თავმჯდომარეობდა გეოფიზიკის ინსტიტუტში არსებულ სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს, მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა გეოფიზიკური საზოგადოება, რომლის უცვლელი პრეზიდენტიც იყო წლების მანძილზე, მანვე დააარსა ამ საზოგადოების ინგლისურენოვანი ჟურნალი, იგი არის საქართველოს სეისმოლოგიისა და მიწისძვრების პროგნოზის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი, დსთ ქვეყნების საგანგებო სიტუაციების სახელმწიფოთაშორისო საბჭოს სეისმოლოგიის საექსპერტო ჯგუფის წევრი, ევროსაბჭოსთან არსებული ქართულ-ევროპული ცენტრის „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკის“ დირექტორი და დიდი კატასტროფების შეთანხმების მუდმივი წარმომადგენელი საქართველოდან და ევროპის სეისმოლოგიური კომისიის მიწისძვრების პროგნოზის მუშა ჯგუფის წევრი.

*განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თ. ჭელიძის მიერ შესრულებულმა პროექტმა „ძლიერი ელექტრომაგნიტური განმუხტვების გავლენა სეისმურ რეჟიმზე“, რომელშიც მითითებულია სეისმურ რეჟიმზე ხელოვნური ზემოქმედების შესაძლებლობა. პროექტის შესრულებით მიღებული შედეგები გამოქვეყნებული იყო სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებში ინგლისში, იტალიაში, საბერძნეთსა და ჩილეში.*

*ბატონ თამაზს მოპოვებული აქვს 14 საერთაშორისო, 8 – ინდივიდუალური საერთაშორისო და 4 ეროვნული სამეცნიერო ცენტრის გრანტი.*

ბატონი თამაზი არის ამერიკის გეოფიზიკური საზოგადოების ნამდვილი წევრი; ამერიკის სეისმოლოგიური საზოგადოების, ნიუ-იორკის აკადემიის, მსოფლიო საქიებო გეოფიზიკის საზოგადოებისა და მსოფლიოს ინოვაციური ფონდის წევრი. 1987 და 1992 წლებში მიწვეული იყო საფრანგეთში სტრასბურგის, 1994-1997 წლებში – რენის უნივერსიტეტებში, ხოლო 2000 წელს – პარიზის „ეკოლ ნორმალ სუპერიორში“ პროფესორად, სადაც კითხულობდა მოხსენებებს და ატარებდა ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს ფრაქტალური მექანიკის სხვადასხვა საკითხებზე.

ბატონი თამაზი, მეცნიერულ კვლევებთან ერთად, 1972 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების კათედრაზე ჯერ დოცენტის, ხოლო შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე. 1997 წლიდან იგი ამ კათედრის გამგე იყო და უძღვებოდა კურსებს ქანების ფიზიკაში, ელექტროძიებასა და გეოფიზიკურ ეკოლოგიაში. ამჟამად თ. ჭელიძე საპატრიარქოსთან არსებული წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორია.

ბატონ თამაზს მიღებული აქვს მთავრობის არაერთი ჯილდო და სახელობითი პრემია: 1984 წელს – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი; 2000 წელს – ღირსების ორდენი; 1998 წელს – მ. ალექსიძის სახელობის პრემია; 2009 წელს კი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მ ნოდიას სახელობის პრემია.

დასასრულ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით გავაცნოთ მკითხველს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა აზრი ბატონი თამაზის შემოქმედების შესახებ.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოეკოლოგიის ინსტიტუტის სეისმოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, რუსეთის მეცნ. აკადემიის წ/კორესპონდენტი **ლ. ნიკოლაევი:** „თ. ჭელიძის მეცნიერული კვლევების შედეგები სპეციალისტების მიერ შეფასებულია უმაღლეს დონეზე, საყოველთაოდ აღიარებულია და განეკუთვნება კლასიკურ ნაშრომებს“.

ფრანგი პროფესორი ივ. გეგენი: „თ. ჭელიძე საერთაშორისო სახელის მეცნიერია“.

სრულ წარმოდგენას ბატონი თამაზის, როგორც მეცნიერის, შესახებ ჭეშმარიტად ასახავს კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორის **გ. შპეტცლერის** სიტყვები: „პროფესორი თ. ჭელიძე მსოფლიო რანგის ლიდერია“.

ბატონი თამაზი არის არაჩვეულებრივი მეოჯახე – მეუღლე, მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ქალბატონი ვენერა თევდორაძის, როგორც მისი მეუღლისა და თანამოაზრის, უდიდესი წვლილი ბატონი თამაზის ესოდენ დიდ წარმატებებში.

ბატონი თამაზი არის ღვთის მიერ ნაბოძები საუკეთესო თვისებების მატარებელი ღირსეული მამულიშვილი, თავისი ქვეყნისა და ხალხის ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელშიც ერთნაირად არის შერწყმული ისეთი ადამიანური ფასეულობები, როგორიცაა: კეთილშობილება, თავმდაბლობა, ერთგულება, შრომისმოყვარეობა და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი თავისა და კოლეგებისადმი.

ვულოცავთ ამაგდარ მეცნიერსა და შესანიშნავ პიროვნებას ბატონ თამაზ ჭელიძეს დამდეგ შობა-ახალ წელს და ვუსურვებთ ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს, რათა მისთვის ჩვეული ერთგულებითა და შეუპოვრობით კვლავაც ილვაწოს ქართული გეოფიზიკური მეცნიერების ახალი მიმართულებების შესაქმნელად და ახალგაზრდა კადრების გზის გამკვლევად.

**ერეკლე გამყრელიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;**

**ნუგზარ ღლონტი,**
**მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისმა ბაღაფში კანონგარეშედ გამოაცხადა

**თბილისსა და ანკარას შორის დიპლომატიური სკანდალი მწიფდება. საბაბი – აფხაზეთის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის ვიზიტი თურქეთში, რომელიც ამ დღეებში უნდა გაიმართოს. განმარტებისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განზრახული აქვს მიიწვიოს თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ერთან თეზგორი. საქართველოს პარლამენტის ოპოზიციამ კი მოითხოვა გამოცხადდეს საერთაშორისო ძებნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერებზე, როგორც სამხედრო დამნაშავეებზე**

აფხაზეთის ხელისუფლება თბილისში მომხდარ ამბებს ყურადღებას არ აქცევს: ბაღაფშის გამგზავრება თურქეთში მაინც მოხდება, განაცხადა საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენელმა.



როდესაც გაიგო აფხაზეთის პრეზიდენტის გეგმების შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოპერატიულად გამოთქვა წინმსწრები პროტესტი ანკარის მისამართით, შეახსენა მას ოფიციალური კონტაქტების დაუშვებლობის შესახებ სეპარატისტული რესპუბლიკის ლიდერთან.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ „საქართველოს მხარე ამოწმებს ინფორმაციას სერგეი ბაღაფშის ვიზიტის შესახებ თურქეთში, ვინაიდან ასეთი ცნობები გავრცელებულა სხვა დროსაც რამდენჯერმე, მაგრამ ამას დადასტურება არ მიუღია“. „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განზრახული აქვს მოიწვიოს თურქეთის ელჩი სიტუაციის განმარტებისთვის“, – დაუმატა მან და გამოთქვა იმედი, რომ „ვიზიტი ნებისმიერ შემთხვევაში არ იქნება ოფიციალური ხასიათისა“.

თბილისის შეშფოთება გასაგებია. ერთია, როდესაც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს შორეული ვენესუელა და საიდუმლო კუნძული ნაურუ, რუსეთთან დამოკიდებულებაში კი – მისი განმარტებანი სავსებით სხვა საქმეა, თუ მინიშნებანი სუვერენიტეტის აღიარების შესახებ მოდის თურქეთიდან, სახელმწიფოდან, რომელშიც ცხოვრობს ძლიერი აფხაზური დიასპორა. შეგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ მუსირებდა ინფორმაცია ანკარასა და მოსკოვს შორის საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ, რომელზეც, თითქოსდა, თურქეთის მხარემ შესთავაზა – ეღიარებინა ყოფილი ქართული ავტონომიების სუვერენიტეტი რუსეთის მიერ ჩრდილოეთი კვიპროსის დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ. ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა კი მოახდინეს ამ სცენარის დეზავუირება, უწოდეს მას „ვილაცის მგზნებარე ფანტაზიები“, მაგრამ იგი პერიოდულად აფეთქდება ხოლმე სხვადასხვაგვარი შესრულებით.

ქართული მხარის ნერვიულობას ზრდის სავსებით აქტიური ვაჭრობა, რასაც ეწევიან თურქეთის კომპანიები აფხაზეთში. ამას უკანასკნელ ხანებში ანკარა არც მალავს, რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის საშუალებით ავრცელებს სოხუმთან ურთიერთობის ფორმულას: ვაჭრობა სუვერენიტეტის აღიარების გარეშე. და მართლაც, როგორ შეიძლება დამალო სავაჭრო ურთიერთობანი, თუკი თურქეთის გემებს აკვატორიაში რუსეთის სასაზღვრო კატარღების შეყვანამდე ხშირად აპატიმრებდა საქართველოს მხარე, რომელსაც დაუშვებლად მიაჩნია აფხაზეთთან ნებისმიერი კავშირი თბილისის სანქციის გარეშე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს კვალდაკვალ სერგეი ბაღაფშის თურქეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით გამოცოცხლდა ქართული ოპოზიციაც. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქცია გამოვიდა განცხადებით, რომელშიც გამოხატა ამავე დროს მზადყოფნაც, შეხვდეს თურქეთის ელჩს, იმედიც, რომ „თურქეთი, როგორც საქართველოს პარტნიორი, არ დაუშვებს ამ ვიზიტს“. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ოპოზიციიდან, თავადაც აფხაზეთიდან წამოსულმა პაატა დავითაიამ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე მოითხოვა, შეიტანონ „ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით სახელმწიფო სტრატეგიის“ პროექტში პუნქტი იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც დამნაშავეები არიან ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაში. აფხაზეთის პრეზიდენტი ამ შავ სიაში პირველ ათეულშია.

იდეა – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების ძებნის შესახებ ინტერპოლის ხაზით – ახალი როდია. იგი ხშირად წარმოიქმნებოდა ხოლმე საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში, როგორც კი გაჩნდებოდა, მათი აზრით, სოხუმსა და ცხინვალზე ზემოქმედების აუცილებლობა. მაგრამ თავისი დაშინება თბილისს პრაქტიკულ სივრცეზე მაინც არ გადაჰქონდა, რადგან სამართლიანად მიიჩნევდა, რომ არ იყო საჭირო დამატებითი სირთულეების შექმნა მოლაპარაკების მძიმე პროცესზე.

როდესაც სიტუაციის კომენტარს აკეთებდა, აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ ყოველივე ეს ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების სურვილის უქონლობას, არ გაუწიოს ანგარიში რეალიებს და უუნარობას, აწარმოოს დიალოგი. „ჩემთვის სულაც არ აქვს მნიშვნელობა მათს რეაქციას ჩემს ვიზიტზე თურქეთში. ვიზიტს არ აქვს ოფიციალური ხასიათი, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული შეხვედრები თურქეთის ოფიციალურ წარმომადგენლებთან. ამჟამად იქ მივდივარ მრავალრიცხოვან აფხაზურ დიასპორასთან შესახვედრად. ეს გამგზავრება დიდი ხნის წინათ იყო გათვალისწინებული და არ გადაიდება“, – განაცხადა ბაღაფშმა.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# რუსეთი და საქართველო ბლოკადის შეწყვეტისთვის ემზადებიან

**როგორც ჩანს, რუსეთი და საქართველო ემზადებიან კვლავ გახსნან საერთო საზღვარი და გააუქმონ ემბარგო ვაჭრობაზე, რომელიც შემოიღეს თითქმის ოთხი წლის წინათ. ზოგიერთს ეშინია, რომ ამ ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს ახალი ეროვნებათაშორისი შეჯახებანი**

10 დეკემბერს პრეზიდენტმა მედვედევმა მოსკოვში განაცხადა, რომ იგი ვერ ხედავს დაბრკოლებას საკონტროლო-გამტარი პუნქტის „ზემო ლარსის“ გახსნისთვის და რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენისთვის. მეორე დღეს სააკაშვილის ოფიციალური წარმომადგენელი მიესალმა ამ ცნობას.

საკონტროლო-გამტარი პუნქტი „ზემო ლარსი“, რომელიც თბილისი-ვლადიკავკაზის გზატკეცილზე მდებარეობს ყაზბეგის დასახლებულ პუნქტში – ერთადერთი წერტილია კავკასიის მთებში, სადაც რუსეთ-საქართველოს საზღვარი შეიძლება გადაკვეთო კანონიერად. გზატკეცილის საქართველოს ნაწილი გადის სულ რამდენიმე მილში სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი საზღვრიდან. საზღვრისპირა რაიონში ტრადიციულად ცხოვრობენ ქართველებიც და ოსებიც. ახლა ბევრ ქართველს ეშინია, რომ ოსები გადმოსახლდებიან დაბაში საქართველოს ტერიტორიაზე, რათა შეეცადონ გააფართოონ სამხრეთ ოსეთის საზღვრები.

მარი აბაშიძის აზრით, თბილისიდან საზღვრის გახსნა მხოლოდ რუსეთისთვის იქნება ხელსაყრელი. ქართველი ნაზი სუხაშვილი საზღვრისპირა ყაზბეგიდან, სადაც არის საკონტროლო-გამტარი პუნქტი „ზემო ლარსი“, პირიქით, მიესალმება ემბარგოს მოხსნას, ვინაიდან საზღვრის გადაკეტვის შემდეგ, ფაქტობრივად, რაიონის ეკონომიკა დაინგრა.

საკონტროლო-გამტარი პუნქტის გახსნას აქტიურად ცდილობდა სომხეთი, ვინაიდან ამ პუნქტით შემოჰქონდა მას რუსული საქონელი. სომხური მხარის შუამავლობით ერევანში გაიმართა პირველი პირდაპირი მოლაპარაკება რუსეთსა და საქართველოს შორის. ანონიმი დასავლელი დიპლომატის სიტყვებით, თავდაპირველად რუსეთი გვთავაზობდა გაგვეხსნა საზღვარი მხოლოდ სომხური საქონლისთვის, მაგრამ შემდეგ დათანხმდა გაეტარებინა ქართული საქონელიც. სექტემბერში ამერიკელებმა დაასრულეს სამუშაო „ზემო ლარსის“ მოდერნიზაციისთვის საქართველოს მხარეზე, რაც მათ 2,4 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

**ნიკოლას კლეიტონი**

The Washington Times

# მოსკოვში ქუთაისის ძეგლის აღდგენას ვერ შეძლებენ

**ქუთაისში აფეთქებული მემორიალის მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართველების მემორიალის აღდგენა „ტექნიკურად და შემოქმედებითად შეუძლებელია“**

მისი სიტყვებით, ძეგლის აღდგენა აბსოლუტურად შეუძლებელია, ვინაიდან იგი „მთლიანად დაინგრა, გაქრა და ნაცარტუტად იქცა“.

ადრე ასეთი იდეით გამოვიდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი.

„შესაძლებლად მიმაჩნია ამ ძეგლის აღდგენა ოდესღაც ჩვენი ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქში – მოსკოვში“, – თქვა მან მთავრობის პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც განიხილებოდა მზადება გამარჯვების 65 წლისთავისთვის.

პუტინმა მიუთითა „ჩვენი სპეციალისტების“ აზრზე, რომლებიც ვარაუდობენ, რომ „ეს მემორიალი წარმოადგენდა მხატვრულ ღირებულებასაც“.

მოსკოვის სახელმწიფო დუმამ მისი ვიცე-სპიკერის ანდრეი მეტელსკის სახით უმალვე დაუჭირა მხარი ამ იდეას.

ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა იმავე სხდომაზე განაცხადა, რომ 2010 წელს საბჭოთა მეომრების საფლავების მოვლაზე მთელს მსოფლიოში ფედერალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა დაახლოებით 5 მილიონი რუბლი.

პუტინის სიტყვებით, მას იმედი ჰქონდა, რომ მის იდეას კერძო პირებიც დაუჭერდნენ მხარს.

„დიდი იმედი მაქვს, რომ ინიციატივას მხარს დაუჭერს რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრიობა და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდება საკმაოდ ბევრი ხალხი, რომელიც შეიტანს თავის საკუთარ სახსრებს, რათა დაუდგან ძეგლი ქართველებს, რომლებიც დაიღუპნენ დიდი სამამულო ომის წლებში და იცავდნენ ჩვენს საერთო სამშობლოს. დარწმუნებული ვარ, რომ ქართული დიასპორის წარმომადგენლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ საქმეში“, – განაცხადა მან.

46 მეტრის სიმაღლის ბეტონის თაღი ბრინჯაოს ქანდაკებებითა და აპლიკაციებით, რომელიც შეიქმნა მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის პროექტით, აღიმართა 1981 წელს და გაანადგურეს მიმართული აფეთქებით შაბათს, ოფიციალური ვერსიით – რათა გაათავისუფლონ ადგილი საქართველოს პარლამენტის ახალი შენობისთვის, სადაც გაიმართება პარლამენტის პლენარული სხდომები ქუთაისში.

პუტინი დარწმუნებულია, რომ ძეგლის დანგრევა იყო „მორიგი მცდელობა, წაშალონ ყოფილი სსრ კავშირის ხალხების ხსოვნაში ისტორიული ხსოვნა საერთო წარსულზე, მათ შორის გმირულ წარსულზეც“.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ორშაბათს გამოვიდა მკაცრი განცხადებით, რომელშიც მომხდარ ფაქტს „სახელმწიფო ვანდალიზმი“ და „მკრეხელობა“ უწოდა.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა რუსეთის რეაქცია „ისტერიად“ მონათლა.

ძეგლის დანგრევის დროს უშიშროების ტექნიკის დარღვევის გამო დაიღუპნენ დედა და მისი 8 წლის შვილი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომლის ფარგლებშიც დაკავებულია 12 კაცი, მათ შორის სამუშაოს მწარმოებელი ფირმის გენერალური დირექტორი. ამას გარდა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც სასწრაფოდ დაბრუნდა სამშობლოში კოპენჰაგენის სამიტიდან, გდააყენა იმერეთის ოლქის გუბერნატორი.

მეორე მსოფლიო ომში საქართველოს 700 ათასი მცხოვრები მონაწილეობდა, რომელთაგანაც დაახლოებით 230 ათასი დაიღუპა. 240 ათასზე მეტი ქართველი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, 137 კაცი გახდა საბჭოთა კავშირის გმირი, მათ შორის სერჟანტი მელიტონ ქანთარიაც, რომელსაც რუსი მიხეილ ეგოროვთან ერთად დაავალეს აღემართა წითელი დროშა რაიხსტაგზე.

რუსეთში ამჟამად დაახლოებით მილიონნახევარი ქართველი ცხოვრობს.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**ლუკაშენკო ბელარუსიდან რუსეთში ასახლებს თავის რეციდივისტებს**

გასახლების რეციდივის შესახებ პრესას უამბო ამრიგად დეპორტირებულმა 48 წლის გენადი ივანოვმა, რომელმაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში 32 წელი გაატარა. გათავისუფლების შემდეგ შემოდგომაზე იგი გადაიყვანეს წინასწარი პატიმრობის ადგილას და აცნობეს, რომ ჩამოართვეს მოქალაქეობა და აგზავნიან ქვეყნიდან, როგორც საზოგადოებრივად სახიფათო ელემენტს.

* * *

**აშშ-ს სენატმა მხარი დაუჭირა ჯანმრთელობის დაცვის რეფორმას: ობამამ შეღავათები გადადო ფინალურ კენჭისყრამდე**

რეფორმა გათვლილია ათ წელიწადზე, მის რეალიზაციაზე დაიხარჯება 900 მილიარდი დოლარი. კანონპროექტი ითვალისწინებს თითოეული ამერიკელისთვის სავალდებულო სამედიცინო დაზღვევას და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის დაზღვევის მოქნილ სისტემას.



* * *

**ინგლისის დასავლეთში გადაბრუნდა ავტობუსი, დაშავდა 48 კაცი**

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა გზაზე დიდი ყინვის გამო. სავარაუდოდ ავტობუსში იმყოფებოდნენ კორნუოლის საგრაფოს მცხოვრებლები, რომლებიც ერთი დღით მიდიოდნენ საშობაო დღესასწაულის ფესტივალზე მაუსხოულში.

* * *

**ამაზონკაში გადაბრუნდა სამგზავრო თბომავალი: დაიღუპა 7 კაცი, სამი უგზო-უკვლოდაა დაკარგული**

სამდინარო სამაშველო სამსახურის მონაცემებით, გემი დაეჯახა ქვიშიან სანაპიროს. იგი გადატვირთული იყო: ხომალდის ბორტზე იმყოფებოდა 100-ზე მეტი მგზავრი და ეკიპაჟის წევრები. 94 კაცი გაარჩინეს. გემების მოძრაობის წესების დაცვაზე სუსტი კონტროლი – ეს არის ამაზონიის მდინარეებზე მაღალი ავარიულობის ძირითადი მიზეზი.

* * *

**იამაიკაზე ჩამოვარდა თვითმფრინავი, დაშავდა 40 კაცი**

თვითმფრინავი „ბოინგი-737“, რომელიც მაიამიდან კინგსტონში მიფრინავდა, აცდა ასაფრენ-დასაფრენ ზოლს და გაიყო ორ ნაწილად: თვითმხილველთა დამოწმებით, ამ დროს ძლიერი წვიმა იყო. თვითმფრინავის ბორტზე 145 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდა. ყველამ დატოვა თვითმფრინავი. არავინ დაღუპულა.



დედაქალაქი

# „ოქროს უბნის“ სატკივარი

## განა შეიძლება ქალაქის ცენტრში თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც საბითუმო ბაზრობა იყოს?

**თბილისი დიდი ხანია ერთ დიდ ბაზრობას დაემსგავსა. დედაქალაქის ცენტრში ფეხით მოსიარულეთათვის გავლა უკვე რამდენი წელიწადია, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რადგან ყოველ ფეხის ნაბიჯზე გარემოვაჭრეები დგანან და ათასნაირი საქონლით ვაჭრობენ. ამ პირობებში იქნებ მკითხველს გაუკვირდეს კიდეც ის საკითხი, რომლის შესახებ ლაპარაკს ვაპირებთ, მაგრამ ეს, მერწმუნეთ, მარტო ერთი შეხედვითაა გასაკვირი.**

რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში ერთი დარბაისელი თბილისელი კაცი ოთარ ფარესიშვილი გვესტუმრა, რომელმაც გასაცნობად თამარ მეფის პროსპექტის, ნინოშვილისა და ჩუბინაშვილის ქუჩების მცხოვრებთა ერთი ჯგუფის ერთობლივი განცხადება მოიტანა, რომლითაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და თბილისის მერს გიგი უგულავას მიმართეს.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია: **„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ძველი თბილისის რაიონში, ნინოშვილის ქუჩაზე, ყოფილი 35-ე საფეხბურთო სკოლის ტერიტორიაზე (სადაც ამჟამადაც საფეხბურთო მოედანია), იგეგმება ბაზრობის მოწყობა. აღნიშნული გადაწყვეტილება კატეგორიულად მიუღებელია მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრებთათვის, რადგან მისი განხორციელების შემთხვევაში მათ შეექმნებათ გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები“.**

რაშია, კონკრეტულად, საქმე?

დავიწყოთ იმით, რომ ყოფილი 35-ე საფეხბურთო სკოლა თბილისის სპორტულ სკოლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული სასწავლებელი იყო, რომლის აღზრდილთა შორის ისეთი ფეხბურთელები იყვნენ, რომლებიც არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიოო ფეხბურთის მშვენებას წარმოადგენდნენ – გავიხსენოთ თუნდაც მიხეილ მესხი, შოთა იამანიძე...

ჰოდა, ისევე, როგორც უამრავი სხვა ობიექტი, ამ სკოლის ტერიტორიაც გაიყიდა, იგი სამშენებლო ფირმა „ცენტრ პოინტმა“ შეიძინა და მოედნის ადგილზე აგრარული ბაზრის აშენებას აპირებს, რათა გლეხებმა ქუჩაში კი არა, ცივილიზებულად მოწყობილ ბაზარში ივაჭრონო. ბოლოს გლეხი როდის ნახეს ბაზარში „ცენტრ პოინტის“ „მამებმა“, იქნებ ჩვენც გაგვაგებინონ – ამდენი წელია, დედაქალაქის ყველა ბაზარი ხომ ქორვაჭრებსა და დევნილებს, სხვადასხვა რეგიონიდან ფულის საშოვნელად ჩა-



მოსულ ხალხს აქვს ოკუპირებული!

არადა, ყველას კარგად გვახსოვს, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ნაციონალური მოძრაობის არაერთმა ლიდერმა, ვინც თბილისის ხელმძღვანელობას მიჰყო ხელი, არაერთგზის განაცხადა, რომ მისმა ცენტრმა სრულიად ახალი, XXI საუკუნეს რომ ეკადრება ისეთი იერსახე უნდა მიიღოს. სხვათა და სხვათა შორის ეს თეზისი, უწინარესად, იმას გულისხმობდა, რომ თბილისის შუაგულს აუცილებლად უნდა მოსცილებოდა ნაირნაირი „სავაჭრო ბირჟები“, სპონტანური ბაზრობები თუ ბაზრები და სხვ. ერთი პირობა ამის გაკეთებაც თითქოს სცადეს კიდეც – გავიხსენოთ თუნდაც აკაკი წერეთლის სახელობის ბაღი, საიდანაც „ბოშების სავაჭრო ბანაკი“ აყარეს, მესერი შემოავლეს და ახლა პოლიცია იქ სავაჭროდ აღარავის უშვებს. ეგ კი ეგრეა, მაგრამ შედეგად განა რა მივიღეთ? ბოშებმა ახლა სადგურის მოედანზე ყოფილი „ბავშვთა სამყაროს“ მაღაზიის წინ მოიკალათეს, ფეხის მოსიარულეებს მხოლოდ მთის ბილიკებივით ვიწრო და გასავლელად სახიფათო საცალფეხო გასასვლელებიღა დაგვიტოვეს და, დარწმუნებული ვარ, თავს უწინდელზე უფრო არხეინადაც გრძნობენ.

თბილისის სხვა უბნებშიც რომ მსგავსი ვითარებაა, ამის შესახებ არაერთხელ გვისაუბრია, დედაქალაქის მცხოვრებლებმაც მშვენივრად იციან ყველაფერი: ნახეთ მარჯანიშვილის ქუჩა და ერთ დროს მყუდრო მოედანი, მეტრო „დელისის“ მიმდებარე ტერიტორია... იმ ადგილების სრული ჩამონათვალი, რომლებიც თბილისს რომელიღაც ულამაზო და უხეირო შუასაუკუნოვან კავკასიურ-აღმოსავლურ ქალაქს ამსგავსებს, უამრავ დროსა და ადგილს მოითხოვს, ამიტომ, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, ყოფილი 35-ე საფეხბურთო სკოლის ტერიტორიაზე „ახალი ბაბილონის“ შექმნის მცდელობის საკითხს დავუბრუნდეთ.

ახლა, მოდით, ჩამოვაყალიბოთ, თუ რატომ არ არის მიზანშეწონილი, რომ ნებისმიერი სამშენებლო კომპანია, „ცენტრ პოინტი“ იქნება ესა თუ სხვა, მხოლოდ საკუთარი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდეს. დავიწყოთ იმით, რომ თბილისის, ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქალაქის ცენტრი მუდამ ხალხმრავალია, შინაურია თუ გარეული, ყველა აქ ირევა. ჩვენ რამდენიც გნებავთ ვიბაქიბუქოთ, აქაოდა, ევროპელები ვართო, ერთხელ და სამუდამოდ კარგად უნდა გავითავისოთ, რომ არც ევროპელები ვართ, არც, მით უმეტეს, აზიელები – კარგია ეს თუ ცუდი, სხვა საკითხია, ჩვენ კავკასიელები ვართ აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. **ამიტომ ის უბანი, სადაც ორი ვაგზალი, მეტროს სადგური, ავტობუსებისა და დედაქალაქის ყველა უბანში მიმავალი სამარშრუტო ტაქსის გაჩერებაა, უამრავი ჯურის ავაზაკს, მათხოვარს, უსაქმურს, უბრალოდ შარის მაძიებელსა თუ სეირის ნახვის მსურველს ანდამატივით იზიდავს. ცალკე თემაა მეძავეები, რომლებიც, ცხადია, იქვე ტრიალებენ, სადაც მათი პოტენციური კლიენტები „ტასაობენ“. ამ უბანში, განსაკუთრებით კი საღამოს საათებში, ვითარება იმდენად იძაბება, რომ სოციალურადაც, კრიმინალურადაც, გნებავთ სანეპიდემიოლოგიურადაც საშიში ხდება: სახლების ეზოები და სადარბაზოები, უკაცრავად სიტყვაზე, ერთიანად შარდის სუნად ყარს, აღარაფერს ვამბობ ათასგვარი ნაგვით დაბინძურებულ ქუჩებზე. მოკლედ, არა მარტო დედაქალაქში, არამედ მთელ საქართველოში რაც ცუდი რამ ხდება, ყველაფერმა, როგორც ლინზის ფოკუსში, აქ მოიყარა თავი.**

ახლა გავიხსენოთ ამ, ქალაქელებში „ოქროს უბნად“ ცნობილ კუთხეში, ქუჩების სიგანე, აქ მოძრავი ტრანსპორტის ნაკადის ინტენსივობა და ავტომანქანების სადგომების ოდენობა. ამ უკანასკნელზე ლაპარაკი ხომ საერთოდ ზედმეტია, თუმცა არ შემიძლია ერთი რამ საგანგებოდ არ აღვნიშნო. თამარ მეფის გამზირსა და თევდორე მღვდლის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე შენობაში ამჟამად პოლიციაა განთავსებული, რომლის თანამშრომლები მანქანებს ტროტუარის მთლად პერპენდიკულარულად თუ არა, ირიბად მაინც აყენებენ. მათი შემხედავები სხვებიც ზუსტად ასევე აჩერებენ თავიანთ მანქანებს, თანაც როგორც პოლიციის წინ, ასევე მოპირდაპირე მხარეს. არადა, იქვე კუთხეში ავტობუსებიც აჩერებენ და, რაც, ბოლო დროის თბილისის ერთ-ერთ, ასე ვთქვათ, „სადარბაზო“ ნიშნად იქცა, სამარშრუტო ტაქსებიც, რომელთა მძღოლებისთვის, როგორც ჩანს, საგზაო მოძრაობის წესების ეს პუნქტი საერთოდ არ არსებობს.



ჰოდა, მარტო ამ მიზეზით, დილიდან გვიან საღამომდე, განსაკუთრებით კი, ცხადია, პიკის საათებში, ქალაქის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვანძი მუდამ „დაცობილია“. არადა, იქვე ხშირად პატრულის თანამშრომლები ცდილობენ რაღაც წესრიგის მსგავსის დამყარებას, თუმცა ამაოდ, ხოლო როცა უბნის მცხოვრებლებმა რამდენჯერმე ურჩიეს – პოლიციის წინ მანქანები მოაშორეთო, ხელები გაშალეს: რა ვქნათ, ბატონო, თანამშრომლების მანქანებია და ვერაფერს ვიზამთო. რატომ, პატივცემულებო? რა, რადგან წესრიგისა და კანონის დამცველის მუნდირი მოირგეთ, მარტო თქვენი გგონიათ ეს ქალაქი?

ტრანსპორტის ნაკადის ინტენსივობას რაც შეეხება, ეს ცალკე თემაა. უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა დედაქალაქში არ არის ავტობუსის თუ კერძო ტაქსის მარშრუტი, რომელიც სარკინიგზო სადგურების ტერიტორიაზე არ მიდიოდეს და, შესაბამისად, ამ უბნის ქუჩებით არ მოძრაობდეს.

საკითხის კიდევ ერთი მხარეც არ უნდა დავივიწყოთ: ამ უბანშიც ისეთივე ჩვენი თანამოქალაქეები ცხოვრობენ, როგორც სხვა უბნებში. აქაური ჰაერის დაბინძურებაზე ლაპარაკი ზედმეტია – ხალხი წლობით ფანჯარას ვერ აღებს და ბინას ვერ ანიავებს, საკუთარი ავტოტრანსპორტით შინიდან გარეთ უდიდესი გაჭირვებით გადის და შემოსვლის დროსაც ასევე წვალობს, დიდი ეზოები უცხო მანქანების სადგომებადაა გადაქცეული...

ახლა კი მაინც მთავარი სათქმელი მინდა მოგახსენოთ, პატივცემულო მკითხველო. თბილისელებმაც და სხვებმაც კარგად ვიცით, რომ ცოტა ხნის წინათ ამავე უბანში ყველასთვის ცნობილი ეგრეთ წოდებული „დეზერტირების ბაზრის“ კაპიტალური შენობა დაანგრიეს იმ მოტივით, რომ იგი ამორტიზებული იყო. არადა, როგორც მერე ვნახეთ, იმის დანგრევას (რომელიც, სხვათა შორის, აშენებაზე არანაკლებად რთულია და საკმაოდ ძვირად ღირებულიც) რა ძალისხმევა დასჭირდა. რამდენადაც ცნობილია, ამ ადგილას რაღაც დანიშნულების მრავალსართულიანი ნაგებობა უნდა წამოემართათ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ქვეშ მეტროპოლიტენის კომუნიკაციები გადის, ამის გამო პროექტი შეაჩერეს. ახლა იმ ადგილას აღარაფერია და ის ქალაქის ცენტრში ანტისანიტარიის ერთ-ერთ მძლავრ კერადაა გადაქცეული, სადაც გარე მოვაჭრეები ათასგვარ ნაგავს ტოვებენ. ეს ამბავი, პირველ რიგში, ხომ მათი არაკომპეტენტურობის ბრალია, ვისაც დედაქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება-მოწესრიგების მოვალეობა აკისრია?

ისმება კითხვა: თუკი ამავე უბანში აგრარული ბაზარი მანამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა და ახლა უბრალოდ მხოლოდ სანაგვედ ქცეული მოედანიღაა დარჩენილი, რა საჭიროა იქვე, დაახლოებით 500-600 მეტრის მოშორებით, ისიც დიდი ხნის წინათ არსებული სპორტული მოედნის მოშლა და ახალ ბაზრად გადაქცევა? ეს პრობლემა, ფაქტობრივად, ყველა ახლო-მახლო მცხოვრები მოქალაქის აზრით, თავის დროზე დედაქალაქის შესაბამის სამსახურს, მის ხელმძღვანელობას უნდა გადაეწყვიტა. ამასთან, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ, მართალია გაპარტახებული, მაგრამ მეტ-ნაკლებად მაინც, ყოფილი 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანი უბნელთათვის ერთადერთი სავარჯიშო თუ სათამაშო ადგილი იყო, რომელსაც მოცალეობის ჟამს დიდი თუ პატარა აკითხავდა. ახლა რაღა ქნას ამ ხალხმა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხშირად ბინის ფანჯარასაც ვერ აღებს ხმაურისა თუ ჰაერის დაბინძურების გამო?

არაკომპეტენტურობის და დაუკვირვებლობის კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება: ყოფილი 35-ე საფეხბურთო სკოლის მახლობლად თავის დროზე ავეჯის ფაბრიკა იყო, რომლის ტერიტორია ასევე „ცენტრ პოინტმა“ შეისყიდა, რომელიც იქ, ალბათ, საცხოვრებელი კორპუსის აშენებას გეგმავდა. თუმცა, მშენებლობა თითქმის დაწყებისთანავე შეჩერდა, ვინაიდან მისი გაგრძელების საშუალებას გრუნტის წყლები არ იძლევა. ახლა „ცენტრ პოინტის“ მშენებლები ყოფილი სკოლის ტერიტორიაზე მიწის ფენას ხსნიან, რომელიც ქუჩასთან შედარებით დაახლოებით ერთი მეტრით მაღალია და ყოფილი ავეჯის ფაბრიკის ტერიტორიაზე ამოთხრილ ფუნდამენტს იმით ავსებენ, სადაც, როგორც აცხადებენ, ავტოსადგომი უნდა გაიმართოს. აგაშენოთ ღმერთმა, ავტოსადგომი, თანაც ქალაქის ცენტრში, თავისთავად ძალიან კარგია, მაგრამ ეს ავტოსადგომი ერთ, ორ, გნებავთ ათ ათეულზე ხომ არ იქნება გათვლილი? მაშასადამე დღეში არაერთი ასეული მანქანა დამატებით უნდა შევიდეს და გამოვიდეს სადგომიდან... იმავე ვიწრო, ახალი სანაგვე ყუთებით და სხვა მანქანებით გაჭედილი ქუჩებით, რომლებიც ისედაც გადატვირთულია მოძრავი ტრანსპორტით...

როგორ გგონიათ, ბატონებო, ეს ვითარებას გამოასწორებს თუ გააუარესებს?

ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება, რომ ბაზარში ცხოვრება არ გვინდოდეს?

გარდა ამისა, ამავე უბანში უამრავი მინის ტარის მიმღები პუნქტია, რომლის პირდაპირ მუდამ მანქანები დგას, რომლებშიც ბოთლებს ტვირთავენ. ეს მანქანებიც, ცხადია, მოძრაობას ხელს უშლიან.

კიდევ ერთი გარემოება ის არის, და ეს, ვფიქრობ, უფრო ამძაფრებს ვითარებას. აქვე არის , რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, რამდენიმე საბითუმო ბირჟა, სადაც სხვადასხვა სახეობის უამრავი საქონელი ჩამოაქვთ მეზობელი ქვეყნებიდან. გარე მოვაჭრეებისთვის ეს მეტად ხელსაყრელია: იყიდის საბითუმოზე, ვთქვათ, ბანანს, კარტოფილს თუ სხვას, აგერ გაიტანს 50-100 მეტრში, წაუმატებს თავის სარგებელს და ვაჭრობს თავისთვის. **განა შეიძლება ქალაქის ცენტრში თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც საბითუმო ბაზრობა იყოს?** ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ამ სატვირთო ტრანსპორტმა თუნდაც აქამდე მისაღწევად, ნახევარი ქალაქი მაინც უნდა გამოიაროს და მერე, ცხადია, უკან უნდა გაბრუნდეს. ამ ბაზრობების მეზობლად მცხოვრებთ თავი რომც დავანებოთ, განა ეს ერთიანად ქალაქს, მის გარემოს, სხვა მოქალაქეებს უხდებათ? ნუთუ არ შეიძლება ბაზრობების, მით უმეტეს საბითუმოსი, ქალაქის მახლობლად გარეუბნების მიღმა განთავსება? თანაც, გარე მოვაჭრეების გარდა იქ რესტორნების, კაფეების, ბარების, მომმარაგებლები დადიან და დილის 5 საათიდან ისეთი ამბავია, კაცი ჭკუაზე გადავა.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ თბილისის ცნობილი მიწისძვრის შემდეგ ამ უბანში მრავალი ქუჩა დაკეტილია, მარტო ნახალოვკიდან, კუკიიდან მომავალმა ტრანსპორტმა უნდა გამოიაროს ოქროს უბანი და სადგურში ისე მივიდეს, რაც დამატებით ტვირთავს სხვა ისეთივე ვიწრო ქუჩებს.

დაბოლოს, კიდევ ერთის თქმა შეიძლება: ამდენ ახალ მოედანს რომ აშენებენ თბილისის მამები, აგერ უკვე აშენებულსა და ოდნავ შესაკეთებელ მოედანს რაღას ერჩიან?

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ოქროს უბნელებმა პრეზიდენტსა და ქალაქის მერს წერილი კი მისწერეს, ამ საგაზეთო წერილსაც გამოვაქვეყნებთ, მაგრამ იქნება კი რაიმე დადებითი შედეგი? სიმართლე გითხრათ, ვეჭვობ.

**ოთარ ტურაბელიძე**

უკვდავების ბინადარი

# დავაფასოთ ღირსეული მამულიშვილი



**სპორტულ სამყაროში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს ოლიმპიური და მსოფლიოს სამგზის (მათ შორის ქართველთაგან — პირველიც) ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, მსოფლიო თასის მფლობელი, თანამემამულეთაგან XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული გივი კარტოზია.**

მის უზარმაზარ დამსახურებათა გათვალისწინებით, 2001 წლის 13 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეს სამართლიანად მიენიჭა სწორუპოვარი ფალავნის სახელი, ხოლო 2002 წლის 20 მაისს დედაქალაქის პრემიერის განკარგულებით გადაწყდა ქვეყნის მთავარი დახურული სარბიელის ექსტერიერში სახელოვანი მამულიშვილის ბრინჯაოს სკულპტურული კომპოზიციის განთავსება (ავტორი — გამოჩენილი მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია).

სამწუხაროდ, მიუხედავად ბატონი გივის მეგობართა, მათ შორის ხალიჩის დიდოსტატთა ძალისხმევისა, საამისოდ კარგახნის განმავლობაში ვერ გამოინახა სათანადო სახსრები. სინათლე გვირაბის ბოლოს ახლახან გამოჩნდა, როცა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, თვალსაჩინო მეტალურგმა, პროფესორმა გურამ ქაშაკაშვილმა დახმარების სურვილი გამოთქვა და პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა — აღნიშნული ქმნილების ჩამოსასხმელად უკრაინაში ნახევარი ტონა ბრინჯაო მოიძია. დიდი მადლობა მას!

ვიმედოვნებთ, ქართული საზოგადოებრიობა ანი მაინც გააქტიურდება და მალე ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს სპორტის სასახლეში ამაყად წამოჭიმული გივი კარტოზიას ბრინჯაოს სკულპტურული კომპოზიცია დაამშვენებს.

**გურამ ბექაია, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
**ჯიმი ხეცურიანი, ინჟინერ-მეტალურგი, ბრინჯაოს მხატვრული ჩამოსხმის მთავარი სპეციალისტი;**

**პროფესორები:**
**გივი ანჩაბაძე, აგული სოხაძე, გურამ ხაჭაპურიძე;**

**ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები:**
**რომან რურუა, გურამ საღარაძე, ლევან თედიაშვილი, დავით გობეჯიშვილი, მიხეილ სალაძე, ბიჭიკო შელია, ავთანდილ მაისურაძე, მერაბ ღუდუშაური, ლუკა კურტანიძე, ლერი ხაბელოვი, თამაზ მაჭავარიანი, ვლადიმერ კანკავა.**

ფეხბურთი

# რონალდუმ უზბეკებს ფეხბურთი ასწავლა



**როგორც უკვე ვწერდით, 2008 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ უზბეკეთს ეწვია, სადაც ამჯერად მოღვაწეობს მისი ყოფილი მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი.**

პლანეტის ყველაზე ძვირფასმა ფეხბურთელმა ტაშკენტში გამართა მასტერ-კლასი ნორჩი ფეხბურთელებისთვის, თანაც თავისი ოსტატობა აჩვენა გულშემატკივრებით გადატენილ სტადიონზე.

რონალდუ შეხვდა აგრეთვე რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, დაათვალიერა უზბეკური ფეხბურთის მუზეუმის ექსპონატები.

აღსანიშნავია, რომ წლეულს ნოემბერში იქ ჩავიდა სახელგანთქმული კამერუნელი ფეხბურთელი სამუელ ეტოო.

**შპს „თბილგვირაბმშენი“ აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე**

**ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველასა და შავიშვილის ქ. №15 გადაკვეთაზე მდებარე 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, იჯარის საწყისი ოდენობა თვეში — 5 ლ. 1 კვ.მ.-ზე.**

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. განაცხადი კონკურსში მონაწილეობაზე;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს, სხვა პირის სახელით;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს.

აუქციონი ჩატარდება 2010 წლის 8 იანვარს 12 საათზე შპს „თბილგვირაბმშენის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

განცხადების მიღება წარმოებს შპს „თბილგვირაბმშენის“ ადმინისტრაციულ შენობაში მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. №8, მე-3 სართული, ყოველ სამუშაო დღეს 10 საათიდან 16 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 12 საათამდე.

დამატებითი ცნობების მისაღებად მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. №8. ტელ: 95-14-07, 897-90-11-00.

**შპს „თბილგვირაბმშენის“ ადმინისტრაცია**

ბენდელას თასი — 2009

# გვახსოვხარ, ზაზა!



**დღეს გიორგი ნემსაძის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიან სარბიელზე იწყება და 28 დეკემბერს დასრულდება აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ტყავის ბურთის ოსტატის, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალრის ზაზა ბენდელიანის მორიგი მემორიალი.**

ტრადიციისამებრ, სეზონის დამაგვირგვინებელ შეჯიბრებაში ითამაშებენ როგორც ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის („ოლიმპი“, „დინამო“) ისე ლეგიონერთა კლუბები, სულ — 8 გუნდი.

როგორც ხსოვნის ტურნირის ორგანიზატორმა ქართლოს ჭუმბურიძემ განაცხადა, გაისად გაზაფხულზე ეს ასპარეზობა საერთაშორისო სტატუსს შეიძენს და მონაწილეთა რაოდენობა გაორმაგდება კიდეც.

ჭადრაკი

# ბენიძე უმაღლესში გადავიდა



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრება.** უმაღლესი ეშელონის 5 საგზურისთვის 57 ქალ-ვაჟი იბრძვის. 8 ტურის შემდეგ 7,5 ქულით პირველ ადგილზეა დავით ბენიძე, რომელმაც, ფაქტობრივად, უძლიერეს დიდოსტატებთან თამაშის უფლება მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ ბენიძე 18 წლისაა და წლეულს თანატოლთა შორის ევროპის პირველობაზე იტალიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 6-6 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს გაიოზ ნიგალიძე, მალხაზ სულაშვილი და ლუკა პაიჭაძე იყოფენ. 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს ბეგლარ ჯობავამ, გიგა ყუფარაძემ, ზურაბ ჯავახაძემ და ოთარ ჯირკვალიშვილმა. შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა.

**სურათზე: დავით ბენიძე.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

სამთო თხილამურები

# საუკეთესო რეიტინგით



**იტალიაში გრძელდება სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირები. ამ დღეებში FIS-ის ეგიდით მორიგი სლალომი გაიმართა.** საქართველოს ნაკრების წევრმა იასონ აბრამაშვილმა, რომელმაც კარგა ხანია, ზამთრის ოლიმპიადის ორი საგზური მოიპოვა, უძლიერეს მოთხილამურეებთან პაექრობისას ორი ცდის ჯამში მე-12 ადგილი დაიკავა და სარეიტინგო 27,99 ქულა შეიმატა, ანუ იმაზე მეტი, ვიდრე წლეულს ორი სლალომის მოგებისას. ვანკუვერის ოლიმპიადამდე იასონ აბრამაშვილი კიდევ რამდენიმე შეჯიბრებაში მოსინჯავს ძალებს.

ინტერნეტიდან

## შუმახერი ბრუნდება!

**გიხაროდენ, ავტოსპორტის მოყვარულებო! „ფორმულა-1“-ს უბრუნდება 7-გზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, როგორც საჯინიბო „მერსედესის“ პილოტი.**

სახელგანთქმულმა მბროლმა, იანვარში 41 წლის რომ ხდება, ხელშეკრულება გააფორმა 2010 წლისთვის. კლუბში მისი პარტნიორი იქნება მისივე თანამემამულე ნიკო როსბერგი. კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით ცნობილი არაა.



გუნდის აქტივში, ის კი აქამდე „ბრაუნად“ იყო ცნობილი. 2009 წლის ყველა ძირითადი გამარჯვებაა — კონსტრუქტორების თასი და ორივე საჩემპიონო ტიტული — ინდივიდუალურიც და გუნდურიც.

გასულ სეზონში შუმახერი უკვე ცდილობდა დიდ სპორტში დაბრუნებას, რათა „ფერარში“ შეეცვალა ტრავმირებული ფელიპე მასა. მაგრამ ხელი შეუშალა შარშან, თებერვალში მოტოციკლეტით ავარიაში მიღებულმა კისრის ტრავმამ.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო საუკუნის მეოთხედში ეს იქნება ყველაზე ხმაურიანი დაბრუნება დიდ სპორტში.

1982 წელს ავსტრალიელი პილოტი ნიკი ლაუდა ორწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა ტრასაზე და უკვე ორი წლის შემდეგ მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ყველაზე ასაკოვან ჩემპიონად ითვლება არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო, თავისი მეხუთე ჩემპიონობა 46 წლისამ რომ მოიგო, შემდეგ კი წავიდა დიდი სპორტიდან.

მიხაელ შუმახერი „ფორმულიდან“ წავიდა 2006 წლის ბოლოს. თავის კარიერაში ის მონაწილეობდა 250 რბოლაში და გაიმარჯვა 91-ჯერ.



## ფედერერი კვლავ საუკეთესოა

**ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) მეხუთედ აღიარა შვეიცარიელი როჟე ფედერერი წლის საუკეთესო ჩოგბურთელად. 2009 წლის სეზონში მან კარიერაში პირველად გაიმარჯვა საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე, დაამხო დიდი მუზარადის სერიის ტურნირზე გამარჯვებების რეკორდი და მიმდინარე წელი დაამთავრა მსოფლიო რეიტინგის პირველ ადგილზე.**

„ჩემთვის წელი დიდებული გამოდგა, ყველაზე მთავარია, რომ ის წლის მწვერვალზე დავამთავრე“, — თქვა ფედერერმა.

ქალთა შორის საუკეთესო ამერიკელი სერენა უილიამსია. ეს ჯილდო მან კარიერაში მეორედ მოიპოვა. ის დასთან ერთად პირველია წყვილთა შორისაც.

თავიანთ ჯილდოებს ისინი მიიღებენ 2010 წლის 1 ივლისს, პარიზში „რონალ გაროსის“ სპეციალურ საღამოზე.

## გულშემატკივრები გაანაწყენა

**სერბმა მოდელმა ნენა რისტიჩმა, ცნობილი რომ გახდა იტალიელ თავდამსხმელ კრისტიან ვიერთან რომანით, გაანაწყენა თავისი გულშემატკივარ-თაყვანისმცემლები. ამ ცოტა ხნის წინათ დედა რომ გახდა, ლამაზმანმა განაცხადა, რომ ამიერიდან მონაწილეობას აღარ მიიღებს ინტიმურ ფოტოსესიებში.**

„ახლა დედა ვარ და ასეთი ფოტოსესიები აღარაა ჩემს გეგმებში, — განაცხადა ნენამ, — ჩემი სხეული კვლავ იდეალურია და მისი გამოჩენა სირცხვილი როდია, მაგრამ კმარა!“



მან ისიც განაცხადა, რომ მისი ქმარი — ცნობილი ბიზნესმენი ჯამპაოლო — მასში სექს-ბომბას კი არა, პირველ რიგში ადამიანს ხედავს.

ხოლო ფეხბურთელებთან ურთიერთობა ყველაზე სასიამოვნო მოგონებად როდი დარჩა მის ცხოვრებაში. „არავითარი ფეხბურთელები! — განაცხადა ლამაზმანმა ვიერისთან განშორების შემდეგ.

წლები

# განსაკუთრებული კიკნაძე...



**უმეტესობა რომ თვითონ მოდიოდა (ზოგჯერ თავსაც გვაბეზრებდა) თავისი ნააზრევის დასაბეჭდად, ზოგს იქით ვთხოვდით, გვყავდა განსაკუთრებული ავტორები და წიგნის, სპექტაკლის, კინოფილმის თუ მუსიკალური ნაწარმოების რეცენზირებას ვუკვეთავდით... ვასილ კიკნაძე „თეატრალურ სამყაროს“ განაგებდა — პრემიერა არ ჩაივლიდა, რომ, ძირითადად, ამ გამორჩეულ თეატრმცოდნეს არ დავკავშირებოდით და რეცენზია არ შეგვეკვეთა.** „დავურეკოთ ვასილ პავლოვიჩს“, მეტყოდა გაზეთ „კომუნისტის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების (ჩემი განყოფილებისძ გამგე ლერი კიკნაძე (ბატონი ვასოს შორეული ახლობელიძ და ამაში, რა თქმა უნდა, მეგობრულ ხუმრობას აქსოვდა (ახალი განთავისუფლებული იყო ცეკას პირველი მდივნობიდან ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძეძ. ვურეკავდი ბატონ ვასოს, ისიც დროულად მოგვაწვდიდა ხოლმე რეცენზიას და მისი კომპეტენტური აზრი ყოველთვის დიდი მნიშვნელობისა იყო სპექტაკლის შემქმნელთათვის, საერთოდ, გაზეთ „კომუნისტის“ ასი ათასობით მკითხველისთვის...

ეტყობა, ჩვენ ხათრს ვერ გვიტეხავდა, თორემ ბატონი ვასოს მთავარი საქმე უკვე თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგობა და სანდრო ახმეტელის ტრაგიკული ბედის კვლევა გამხდარიყო. აკი, ძალზე მნიშვნელოვანი წიგნი უძღვნა კიდეც დიდი ქართველი რეჟისორის ცხოვრებასა და შემოქმედებას...

ყოველი შეხვედრა ბატონ ვასოსთან ერთი სიამოვნებაა დღესაც, გულთბილი საუბარი იცის, ხალასი იუმორით გაჟღენთილი... ჰოდა, ამასობაში, ჩვენი ქვირფასი „ვასილ პავლოვიჩი“ 80 წლისა მოყრილა, და ამ, მართლაც ღირსშესანიშნავ თარიღს შეხვედრია საყურადღებო წიგნით — **„დაკარგული თეატრი“**, რომელიც 30-იან წლებში ქართული თეატრის (კერძოდ, რუსთაველის თეატრისძ ირგვლივ დატრიალებულ მოვლენებს დიდი დრამატიზმით ასახავს და იმ თაობის — სანდრო ახმეტელიდან დაწყებული უამრავი ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობის, რეჟისორის, ტექნიკური მუშაკის უბედურებაზე მოგვითხრობს. ამ ადამიანების ტრაგედია უნდა იცოდეს იმ თაობამ, რომელიც დღეს სწავლობს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, უნდა იცოდეს, რა განიცადა წინაპარმა, გენიალური სანდრო ახმეტელის თაობამ. ამისთვის გმადლობთ თქვენ, ბატონო ვასო, ღმერთმა ჯანი არ მოგაკლოთ, თქვენ, დღესაც კაცურად მიუყვებით ამ წუთისოფლის ოკროზოკროს...

დამდეგ ახალ წელს გილოცავთ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ამბროსი (მამუკაძ ჯაჯანიძის ხსოვნას

## აღარ გვყავს ჩვენი მეომარი ძმა...



**ამასაც მოვესწარით, ხსოვნასო, წარვუმძღვარეთ შენდამი მიძღვნილ წერილს. არადა, აღარც გვახსოვს, როდის აიკვიატე პირველად, სამშობლოს დაცვა პროფესიად რომ გაგეხადა. ოთხმოციან წლებში, ჯერ კიდევ კომუნისტური წყობის დროს, ჩეხოსლოვაკიაში რომ მოიხადე სამხედრო-სავალდებულო სამსახური, მაშინაც ვამაყობდით. შემდეგ იყო სტუდენტობის წლები და... შეიქმნა თუ არა საქართველოს ეროვნული გვარდია, მამა-პაპის გენს არ უღალატე და ინჟინერი კაცი უცებ გვარდიელი გახდი.**

**შემდეგ ომი... სამაჩაბლო და აფხაზეთი. უბრალო მეომარი ხომ არ ვიქნებიო, ჩემს სამშობლოს პროფესიონალები სჭირდებაო და ფრუნზეს სახელობის, მთელ, არამარტო პოსტსაბჭოურ, არამედ მსოფლიოშიც ცნობილ სასწავლებელს ეწვიე და წარჩინებით დაამთავრე.**

**2004 წლიდან ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე იყავი. სამეგობრო-სანათესაოში შენს პოლკოვნიკობაზე მეტად შენი დიდი ოჯახის ზეობა გვახარებდა. რა მოსატანი იყო ჯილდოები, სამხედრო მამაცობისა და გმირული თავდადებისთვის რომ მიიღე, იმასთან შედარებით, ოთხი შვილის მამა რომ გერქვა და ამით ამაყობდი.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო მამუკა, რას ვიფიქრებდით, რომ 25 აპრილს შენს ორმოცდაოთხ წელს ვერ შევხვდებოდით შენთან ერთად. გულმა გიღალატა, სამშობლოსთვის ანთებულმა გულმა. იმედია, იმ დიდ, ზეციურ საქართველოში მაინც გახარებთ ჩვენი ქვეყნის გაერთიანებას.**

გოგი მერმანიშვილი,
თემურ დანელია, მამუკა ვაშაკიძე

აქცია

# მაინც მომავლის იმედით ცოცხლობენ

**საქველმოქმედო ფონდი „ბითი ჩერითი“, რომლის პრეზიდენტი საქმიანი და კეთილშობილი ქალბატონი ნუნუ წილოსანია, ამ ცოტა ხნის წინათ დაფუძნდა, მაგრამ ფონდმა მოკლე დროში ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო.**

ამ დღეებში ნუნუ წილოსანი თავის თანამშრომლებსა და მეგობრებთან ერთად თბილისში, თემქაზე მდებარე ხანდაზმულთა პანსიონატს ესტუმრა.

ფონდმა თავისი სახსრებით მოხუცებისთვის საჭირო სხვადასხვა სახეობის საჩუქარი შეიძინა და ხანდაზმულთა სახლში მცხოვრებ 80 ადამიანს გადასცა.

საახალწლო საჩუქრებმა და ალერსიანმა სიტყვებმა მოხუცები გაახარა, თვალებში სითბო ჩაუდგათ, გახალისდნენ და ერთი დღით თავიანთი დარდი დაივიწყეს.

აქ მყოფი ადამიანები ერთ დროს საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ და სხვადასხვა პროფესიას ემსახურებოდნენ. აქედან, როგორც გავიგეთ, ზოგი პედაგოგი, ექთანი, ინჟინერი, ვაჭრობის მუშაკი იყო. ახლა კი ერთად მოუყრიათ თავი და ერთმანეთს თავიანთ ჭირსა და სიხარულს უზიარებენ...

მათ ყოფას და ცხოვრებას უიოლებს ხანდაზმულთა პანსიონატის დირექტორი თამთა დემურიშვილი, რომელიც ღირსეულად უძღვება თავის საქმეს, მოხუცებს მზრუნველობას არ აკლებს და ყველანაირად ცდილობს თითოეულ მათგანს გასაჭირი შეუმსუბუქოს.

კვალიფიციური ექიმები, სამჯერადი კვება, ირგვლივ სისუფთავე, ეს ყველაფერი მოხუცებს მომავლის იმედს უნერგავს და ძალას მატებს, ამიტომაც არის, რომ მოხუცები ამ კეთილმოწყობილ შენობაში, როგორც საკუთარ სახლში ისე გრძნობენ თავს და ახალი დღის გათენება აღარ აშინებთ.

...საქველმოქმედო ფონდი „ბითი ჩერითის“ ხელმძღვანელი ნუნუ წილოსანი მოხუცებს დაემშვიდობა და აღუთქვა, რომ მათთან ეს სტუმრობა ერთჯერადი აქცია არ იქნება და ფონდი მომავალშიც ყურადღებას არ მოაკლებს, მათ სურვილებს გაითვალისწინებს და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას გაუწევს.

**ლალი ქინქლაძე**

შპს „ტექნიკოსი“ იჯარით გასცემს 10 კვ/მ ფართს, 1 კვ. — 30 ლ. (სარემონტოძ, კოსტავას, 77. აუქციონის ჩატარების დღე — 6 იანვარი, „ბე“-ს გადასახადი — 100 ლარი. ტელ. 855 94-93-17.

„საქართველოს სამედიცინო ჟურნალისა“ და გაზეთ „მედიცინის“ თანამშრომლები გულისტკივილით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი მთავარი რედაქტორი, პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯანგირ მამალაძე

და გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს.

---

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კოლექტივი რექტორის ამირან მექვაბიშვილის სახელით თანაგრძნობას უცხადებს უნივერსიტეტის პროფესორს მანანა ღლონტს შვილის

გიგი თელიას

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე, პროფესორი

ალექსანდრე ბენდიანიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

შპს „თბილგვირაბმშენის“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს შპს „თბილგვირაბმშენის ყოფილ დირექტორს მერაბ გურულს მამის

ჯემალ გურულის

გარდაცვალების გამო.

ნუთუ სიმართლეა?

# მაიმუნი არ არის ჩვენი ნათესავი?

***ჟურნალმა Science გამოაქვეყნა სენსაციური სტატია. ეთიოპიაში აღმოაჩინეს ფეხზე პირდაპირმავალი ახალი სახეობის არსების ნეშტი. იგი ცხოვრობდა 4,4 მილიონი წლის წინათ. ანთროპოლოგებს მიაჩნიათ: აღმოჩენილი ადამიანისა და მაიმუნის საერთო წინაპარი, შემდეგ ჰომო საპიენსისა და პრიმატების განვითარება სხვადასხვა გზით წავიდა.***

***რა შეიძლება შეცვალოს ახალმა აღმოჩენამ წარმოდგენაში ადამიანის წარმოშობის შესახებ? ამის შესახებ ვესაუბრებით პალეონტოლოგ ალექსანდრ ბელოვს.***

**— ბატონო ალექსანდრე, ახალი კანდიდატი გამოდგება ჩვენი წინაპრის როლისთვის?**

— ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გამოიყურება მისი ტერფი. საუკუნე-ნახევარია მეცნიერება არის ჩარლზ დარვინის თეორიის (უფრო სწორი იქნებოდა, მისთვის ჰიპოთეზა გვეწოდებინაძ გავლენის ქვეშ იმის შესახებ, რომ ადამიანის წინაპარი იყო ადამიანის მსგავსი მაიმუნი, დარვინის მიმდევრები დღემდე იზიარებენ ამ აზრს.

თუმცა ამ ჰიპოთეზას აქვს აშკარა სისუსტეები. აი ერთ-ერთი მათგანი: ადამიანის ტერფში მთავარ საყრდენ ფუნქციას ასრულებს ცერი, რომელზეც მოდის წონის 30-40 პროცენტი. გორილის, ორანგუტანგის, შიმპანზეს — თითქოსდა, ყველაზე „ჭკვიანი“ და ადამიანის მსგავსი მაიმუნების — ტერფის აღნაგობა სხვაგვარია: მათი ცერი ტერფისგან კუთხითაა გამოყოფილი. ეს სხვაობა საკვანძოა, მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანის მსგავს მაიმუნსაც კი არ შეუძლია დიდხანს სწორად (გამართულადძ სიარული, ის მხოლოდ ოთხით გადაადგილდება.

**— მაგრამ ეს დასკვნა ასე ეწინააღმდეგება დარვინისას? ვითარდებოდა მაიმუნი — სრულყოფილი ხდებოდა მისი ტერფიც.**

— ამ ლოგიკით მაიმუნისა და ადამიანის უფრო ძველ წინაპრებს ტერფი უნდა ჰქონდეთ ჩვენსაზე უფრო ნაკლებად მსგავსი.

მაგრამ სწორედ ეს ლოგიკა გასკდა უკანასკნელი ათეული წლების გახმაურებული აღმოჩენების შემდეგ. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს აღმოაჩინეს დაახლოებით 4 მილიონი წლის წინათ მცხოვრები ავსტრალოპითეკის გაქვავებული ტერფი. და აი, აქ ნათელი გახდა, რომ ის სულაც არ „ჩამოსულა ხიდან“, როგორც ამას ევოლუციური ჰიპოთეზა მოითხოვდა. ამ პრიმატს ჰქონდა ტერფი, რომელიც უფრო ადრე ჰგავდა ადამიანისას, ვიდრე ადამიანის მსგავს მაიმუნს.

2000 წელს აღმოაჩინეს 7 მილიონი წლის წინათ მცხოვრები ჩადის სახელონტროპის ძვლები. კეფის კუთხების თავის ქალის საფუძველთან მიმაგრების თავისებურებებით გაირკვა, რომ ის პირდაპირმავალი იყო. დასკვნა გასაოცარია: სახელონტროპი კიდევ უფრო მეტად ჰგავს ადამიანს, ვიდრე ავსტრალოპითეკი და, მით უმეტეს, ვიდრე მაიმუნს.

**— ეტყობა, ფაქტების ზემოქმედების გამო მოგვიწია დარვინის კონცეფციის „კორექტირება“: არა ადამიანი მაიმუნისგან, არამედ ორივე ისინი — რომელიღაც საერთო წინაპრისგან?**

— დარვინისტებს კი უნდათ ჩაეჭიდონ ამ აზრს, მაგრამ არ გამოდის: მაშინ რატომაა, რომ ადამიანმა სრულყო წინაპრის ფორმები, მაიმუნმა კი დაკარგა ყველა უპირატესობა და კვლავ ხეზე აძვრა? გამოდის, რომ მაიმუნმა მოახდინა განვითარების უკუმიმართულება — ინვოლუცია?

**— სწორედ ინვოლუციის ჰიპოთეზას ეძღვნება თქვენი წიგნები. ინვოლაციის მიხედვით გამოდის, რომ ცოცხალი მატერიის ფორმები ვითარდება უფრო რთულიდან უფრო მარტივისკენ. ესე იგი ხდება ცოცხალი სამყაროს დეგრადაცია. დავუშვათ, რომ ეს ასეა. მაგრამ მაშინ საიდანღა გაჩნდნენ რთული ფორმები? ვინ შექმნა ადამიანი?**



— ამ დიდმნიშვნელოვან შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მეცნიერები ჯერჯერობით მზად არ არიან. ადამიანი გონიერი — შედარებით ახალი სახეობაა, ის დაახლოებით 60 ათას წელს ითვლის. მრავალი მილიონის საპირისპიროდ, რომელიც გვაშორებს აღმოჩენილი ანდროპოიდებისგან — ეს უმნიშვნელოა. გამოდის, რომ ჰომო საპიენსი მდებარეობს პრიმატების განვითარების ხაზის გარეთ — გინდაც ევოლუციურის და გინდაც ინვოლუციურისა. ამიტომ უფრო სწორი იქნება, ჩვენს სახეობას ვუწოდოთ ჰომო ინკოგნიტოსი — უცნობი ადამიანი, ვიდრე დავანათესავოთ იგი მაიმუნებთან და მათ უფრო სრულყოფილ წინაპრებთან.

**— იქნებ, ეთიოპიის ახალი აღმოჩენა ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს?**

— საეჭვოა. ჩვენ ხომ მხოლოდ ვსაუბრობთ შეუთავსებლობაზე „მაიმუნი-ადამიანი“. მაგრამ კიდევ უფრო ცხადია შეუთავსებლობა ორ ნებისმიერ საფეხურს შორის ევოლუციის კიბეზე. მაგალითად, ღორი და ღამურაც კი რაღაცაში უფრო ახლოს არიან ადამიანთან, ვიდრე მაიმუნი.

**— მაგრამ თქვენ უარყოფთ ვარაუდს იმის შესახებ, რომ აღმოაჩინეს ადამიანის უფრო ძველი წინაპარი?**

— მზად ვარ, არგუმენტირებულად დავადასტურო, რომ ძაღლი და დათვი — ადამიანის მემკვიდრეები არიან. ვთქვათ, დათვი წარმოიშვა ენოტის ტიპის პატარა ხეზე მძრომიალე ცხოველებისგან (როგორც პალეონტოლოგებს მიაჩნიათძ. ის მაიმუნების ნათესავი არაა, თუმცა გარეგნულად ცოტა ჰგავს მათ. დათვის ტერფი ადამიანისას გვაგონებს და გაცილებით უფრო სრულყოფილია, ვიდრე მაიმუნისა: მასში მინიშნებაც კი არაა განყენებულ ცერზე. ცხადია, რომელიღაც დეგრადირებული ადამიანური არსება არასოდეს არ ასულა ხეზე, არამედ აგროვებდა ქონს ხეებს შორის ხეტიალით, ჯერ ორ ფეხზე, შემდეგ ოთხზე. დათვის ფეხები დამოკლდა, რათა უფრო მოხერხებული ყოფილიყო საკუთარ ტერფზე დაყრდნობა. გამოდის, დათვი ადამიანისგან წარმოიშვა?

ესაუბრებოდა
**გრიგორი მალაი**

შპს „კენტავრის“ ადმინისტრაცია იუწყება, რომ პარტნიორთა, 10.12.2009 წ. კრების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხორციელდება შპს „კენტავრის“ (ს/№206334162ძ, რეორგანიზაცია. კერძოდ, საზოგადოებას გამოეყოფა შპს „ლათონი“ და შპს „დაღლაკი“. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №77, ტელ: 899772888.

სულიერება

# წამებულნი და ღირსნი მამანი და დედანი



24 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყველა წმინდანს, რომლებიც საქართველოში ეწამნენ. ქართული აგიოგრაფიული ძეგლებისა და საქართველოს ისტორიის

**გაცნობისას იბადება აზრი, რომ ზეციური საქართველო განუზომლად დიდია.**

უამრავმა ქართველმა მოიპოვა მიწიერი მწიკვლი ქრისტესთვის თავდადებით უსჯულოებთან ბრძოლისას, ასევე ძალიან ბევრმა განიწმინდა სული მონასტერში ლოცვით, მარხვით და მოღვაწეობით.

წმიდა გიორგი მთაწმინდელმა თავის დროზე ბრძანა: „რაჟამს ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არა სადა უარგვიყოფიეს და არცა ოდენ წვალებასა მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი“.

...დღევანდელ 24 დეკემბრის მოსახსენებელში წერია, ყველასათვის ცნობილ წმინდანთა შორის უნდა ვიგულისხმოთ ქართული წარმოშობის სამასამდე სახელი...

ტაძრებში, წირვის შემდეგ, ტრადიციისამებრ, ამბოხიდან მღვდელ-მსახურნი იქ შეკრებილ მრევლს ასე მიმართავენ, დღეს ყველა თქვენგანის (რა სახელსაც არ უნდა ვატარებდეთ) დღესასწაულიაო, ხოლო მგალობლები „მრავალჟამიერს“ გალობენ.

**გიული ლიპარტია**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6839 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4162 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7097 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.5320 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4129 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0965 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1151 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1099 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4660 ლარი |

ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +5 |
| ქუთაისი. | +11 – +12 |
| ბათუმი. | +12 – +13 |
| ზუგდიდი. | +10 – +11 |
| თელავი. | +1 – +4 |

ანეკდოტები



მთვრალი ავტომატთან მივიდა, მონეტა ჩაუშვა, ღილაკს თითი დააჭირა და გაოცებულმა შენიშნა, რომ იქიდან ლვეზელი გადმოვარდა. კვლავ ჩააგდო მონეტა, შემდეგ კიდევ და კიდევ... უამრავი ლვეზელი დაგროვდა.

– რას შვრები, კაცო, არ გეყოფა? გაჩერდი! – ეუბნება მისი საქციელით გაკვირვებული გამყიდველი.

– რაო? – გავჩერდე? – უყვირის მთვრალი, ახლა გავჩერდე, როცა ასე მიმართლებს და სულ ვიგებ?!

* * *

გურულს ტყეში ყაჩაღი დახვდა:

– ფული ჩქარა!

გურულმა ჯიბეები მოიჩხრიკა და ყაჩაღს ხელში ბატიბუტი ჩაუყარა.

– ეს რა ჯანდაბად მინდა?

– სანამ ვინმე ფულიანი გამოივლის, თავი შეიქციე.

* * *

– რა გქვია? – ეკითხებიან სვანს.

– პასპორტში შერმადინი მიწერია, მაგრამ როცა ცხვირს ვაცემინებ, „სიცოცხლეს“ მეძახიან.

* * *

– ექიმო, ეგება მიშველო რამე, რაღაცა ძალიან მტკივა აქანე, ჭიპქვეშ, – ეუბნება გურული მკურნალს.

– გაიხადეთ, გაგსინჯავთ.

– რავა, სიტყვაზე არ მენდობი?!

* * *

– ძუკუ, სად ცხოვრობ?

– აფთიაქის მაღლა.

– აფთიაქი სად არის?

– ჩემი სახლის დაბლა.

* * *

– იცით რა, ჩემო კარგო, აუცილებლად უნდა დაიკლოთ წონაში, – ეუბნება ექიმი პაციენტს!

– რამდენი იყო თქვენი მინიმალური წონა?

– სამი კილოგრამი და ორასი გრამი.

* * *

რესტორანში ბიჭი მაგიდას მიუახლოვდა და იქ მჯდომ გოგოს ეკითხება:

– ქალიშვილო, უკაცრავად, თქვენ ცეკვავთ?

– შენ რა, დებილი ხარ? ვცეკვავ კი არა, ვჭამ!

* * *

იმდენი რამე მაქვს გასაკეთებელი, რომ სჯობს დასაძინებლად წავიდე.

კადრი



დღის კალენდარი

24 დეკემბერი

**29-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.**



ამოდის 07.26
ჩადის 16.33



ამოდის 19.57
ჩადის 11.51

**ხსენება ყოველთა წმიდათა – საქართველოში წამებულთა ღირსთა მამათა და დედათა, რომელთა შორის უნდა ვიგულისხმოთ:** აბელი, აბესალომ, აბუსერი, ავაგი, ავგაროზი, ავთანდილი, ალმასხანი, ამირანი, ამირინდო, ანდუყაფარი, არჯევანი, ასლანი, ასპანი, აფრასიონი, აღბულა, baადური, baaკა, baკური, baრათა, baხვა, baხუტა, bეbური, bეგლარი, bედიანი, bეკო, bეშქენი, bირთველი, bიჭია, bოცო, გაგა, გარსევანი, გელა, გემელი, გივი, გოდერძი, გოსტაშაბი, გოჩა, გოჯასპირი, გუგუნა, გულbაათი, გურასპი, გურგენი, დარისპანი, დაჩი, დემური, დიასამი, დოლენჯი, დურმიშხანი, ედიშერი, ევდომოსი, ეზრა, ელგუჯა, ერეკლე, ვამეყი, ვამეხი, baრამი, ვაა, ვარაზა, ვარაზვაჩე, ვარამი, ვაჟა, ვარდენი, ანუ ვარდანი, ვაჩე, ვახუშტი, ვირშელი, ზაალი, ზაზა, ზაუტა, ზებედე, ზურაბი, თადია, თათე, თარხანი, თაყა თაყინა, თეიმურაზი, თენგიზი, თორღვა, იაგორა, იაკინთე, იასე, იმედა, იოთამი, იორამი, კახაბერი, კვირია, კიკოლა, კოჩა, ლაშა, ლევანი, ლიპარიტი, ლომინი, მალხაზი, მამამზე, მამია, მამისთვალი, მამუკა, მანუჩარი, მაყა, მახარე, მერაბი, მინდია, მირმანოზი, მურმანი, მურძაყანი, ნავროზა, ნარიმანი, ნინია, ნოდარი, ნოშრევანი, ნუგზარი, ოთარი, ომანა, ონისიმე, ოსე, ოტია, ოქროპირი, პაატა, პალი, პაპალა, პაპუნა, რამაზი, რამინი, რატი, როინი, რომანი, როსება, როსტევანი, როსტომი, საამი, საველე, სარგისი, სარდიონი, სარიდანი, საურმაგი, სესია, სეხნია, სიაოში, სიდამონი, სულა, სულმამა, სულხანი, სუბატი, ტარიელი, ტეტია, უფლისა, უშანგი, ფერმუზა, ფარნაოზი, ფარსადანი, ფეშანგი, ფირანი, ფიროზა, ფოცხვერა, ფრიდონი, ქავთარი, ქართლოსი, ქვაბული, ქველი, ქობული, ქუცნა, ღვთისავარი, ღუღუნა, ყარამანი, ყაფლანი, ყაყიტა, ყვარყვარე, შაბური, შადიმანი, შამადავლე, შანშე, შერმზანი, შერმადინი, შიაოში, შოთა, შოშიტა, ცისკარი, ცოტნე, ხახუტა, ხოსიტა, ჭოლა, ჯაბა, ჯავახა. აგრაფინა, ანუკა, ასმათი, ასპიროზა, გვანცა, გუგულა, გულვარდისა, გულისა, გულნაზი, გულნარა, გულქანა, გულჯავრი, გუჯა, დარეჯანი, დესპინე, ესმა, ვარსკვლავისა, ზეინაბი, თათია, თეონა, თინათინი, თმაგიშერა, თუთა, თუთია, კესარა, კრავია, ლამაზა, ლამარა, ლელა, ლერწამისა, მაგდანი, მაია, მაკა, მანანა, მარგალიტა, მარიხი, მზეთვალა, მზექალა, მზეხა, მზისთანადარი, მნათობი, მნათობისა, მონავარდისა, ნადია, ნარგიზი, ნესტანი, პირვარდისა, პირიმზე, როდამი, რუსა, საგდუხტა, ტერეზია, უმანკო, ფატმანი, ფაქიზო, ფაცია, ქაბატო, ქურციკა, ცაცო, ციცია, ციცინო, ხათუნა, ხვარამზე, ხვაშაქი, ხორეშანი.

ღირსი დანიელ მესვეტისა (489-490წ; მოწამეთა: მირაქსისა, აკეფსისა და აითალასი (VIIწ; ღირსი ლუკა მესვეტისა (დაახლ. 970-980წ.

## დაიბადნენ:

1167 – **იოანე უმიწაწყალო,** ინგლისის მეფე. გარდაიცვალა 1216 წელს.

1491 – **იგნატიუს ლოიოლა,** ესპანელი წვრილაზნაური. 1534 წელს შექმნა იეზუიტების ორდენი. გარდაიცვალა 1556 წელს.

1503 – **მიშელ ნოსტრადამუსი,** ფრანგი ექიმი, ასტროლოგი, წინასწარმეტყველი. გარდაიცვალა 1566 წელს.

1798 – **ადამ მიცკევიჩი,** პოლონელი პოეტი, კრიტიკოსი. გარდაიცვალა 1855 წელს.

1818 – **ჯეიმს პრესკოტ ჯოული,** ინგლისელი ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1889 წელს.

1868 – **ემანუილ ლასკერი,** გერმანელი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი. გარდაიცვალა 1941 წელს.

1912 – **არჩილ კერესელიძე,** გამოჩენილი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1971 წელს.

1929 – **ვასილ კიკნაძე,** თვალსაჩინო თეატრმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

## გარდაიცვალნენ:

1524 – **ვასკო და გამა,** პორტუგალიელი მოგზაური.

1863 – **უილიამ თეკერეი,** ინგლისელი მწერალი, კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

1889 – **სერგეი ბოტკინი,** რუსი თერაპევტი და საზოგადო მოღვაწე.

1994 – **ჯონ ოსბორნი,** ინგლისელი დრამატურგი.

1997 – **ტოსირო მიფუნე,** გამოჩენილი იაპონელი მსახიობი.

## მოვლენები:

1865 – ქალაქ პულასკში სამოქალაქო ომში (1861 – 1865წ დამარცხების შემდეგ კონფედერატებმა შექმნეს ტერორისტულ- რასისტული საიდუმლო ორგანიზაცია „კუ-კლუკს-კლანი“.

1871 – ქაიროში შედგა ჯუზეპე ვერდის ოპერის „ვერდის“ პრემიერა.

1906 – აშშ-ში მუშაობა დაიწყო პირველმა რადიოგადამცემმა სადგურმა, რომელმაც გადასცა მუსიკა, ლექსები და საუბრები.

1942 – პენემიუნდეში ჩატარდა ვერნერ ფონ ბრაუნის მიერ შექმნილი რაკეტის აძპ76–ის პირველი საცდელი გაფრენა.

1979 – საბჭოთა კავშირმა ჯარები შეიყვანა ავღანეთში.

1991 – საბჭოთა კავშირი აღარ არის გაეროს წევრი. მისი ადგილი რუსეთის ფედერაციამ დაიკავა. რუსეთი გახდა აგრეთვე გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი.

**მელიანიუსი**

აუდიტი
34-84-83,
899 49-19-97.
(ვეწევი აუდიტორულ საქმიანობას შეღავათიან ფასებში).

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.